

ଓଡ଼ିଆ
ପ୍ରକାଶନକାଳୀ

No 4



ବ୍ୟାଙ୍ଗନାଳୀଲାତାମନ୍ଦିର.—ଜାନୁଆରୀ

1911

B. T. Acharya



პინარსი.


I — იქსო უდაბნოში, — სურ. კრამისკრისა	1
II — გაზაფხული — ლექსი ა. შანშიაშვილისა	3
III — მესამე, — საადდგომო მოთხრობა ბუჩიმისკისა (თარგმანი) ქავი შავაშვილი	4
IV — გეგმული, — ვაჟა უშაველასი	12
V — მოღის, — ლექსი გ. ქუჩიშვილისა	22
VI — მთის წყარო, — გ. ქუჩიშვილისა	24
VII — საუკეთესო საჩუქარი, — ა. ჩარსკისა (თარგმანი) ქავი სახთაძისა	27
VIII — გაზაფხული, — ლექსი დ. ეჭილზიშვილისა	35
IX — დილი, — ლექსი ბაბილინისი	37
X — ძუნწი მდიდარი და დალაქი, — (იგავი) ა. შირიანაშვილისა	38
XI — მიწის ძვრა თურქესტანში, — ა. გადატოზიშვილისა	40
XII — თეთრი სამოსელი, — (ზდაბარი) თარგმანი იტასი	43
XIII — ვახტანგ ორბელიანი, — ა. ხეხანაშვილისა	48
XIV — ქიმია, წყალი — ნოდ ბერისა (თარგმანი) ნ. ლომაურისა	57
XV — გასართობი: რებუსი და ახსნა	64

რეაქციულარ

ს 1901 წ 80 გ 1 1901 წ 0

ზელი და გვევის.

1901 წ 1, 1911 ა.



იქსო უდაბნოში, — სურ. კრამსკისა.

მინარესი.

I - იესო უდაბნოში, — სურ. კრამისჭირისა	1
II — გაზაფხული — ღექინ ა. შანშაბვილისა	3
III — მესამე, — სააღდგომო მთათხრობა პუნიმსკისა (თარგმანი) კაპი შაპაფასი	4
IV — გუგული, — გაფა ფშაველასი	12
V — მოდის, — ღექინ გ. ქუჩიშვილისა	22
VII — მთის წყარო, — გ. ქუჩიშვილისა	24
VII — საუკეთესო საჩუქარი, — ა. ჩარსკისა (თარგმანი) ქბ. ასათანისა	27
VIII — გაზაფხული, — ღექინ დ. ედიოზიშვილისა	35
IX — დილა, — ღექინ ბაბილინასი	37
X — ძუნწი მდიდარი და დალაქი, — (იგავი) ა. მირიანაშვილისა .	38
XI — მიწის ძვრა თურქესტანში, — ა. ქადაცოზიშვილისა .	40
XII — თეთრი სამოსელი, — (ზდაპარი) თარგმანი იტასა .	43
XIII — ვახტანგ ორბელიანი, — ა. ხახნაშვილისა	48
XIV — ქიმიი, წყალი — პოლ ბერისა (თარგმანი) ნ. დომაურისა .	57
XV — გასართობი: რებუსი და ახსნა	64



გაზაფხული.

მთის ცელქ ნიავსა
გაჰვიძებოდა
და თავისუფლად
მინდვრად დაჭროდა.

ნელ-სურნელოვანს და ნორჩ ყვავილებსა
მაღლით ცის ნაში ეპურებოდა;
იას ცისფერსა, გულ გადაშლილსა,
ტურფა ცისკარი ელიმებოდა.
ცაში ტოროლა ფრთხრიალ-ტრიალით
დილის განთიადს ეგებებოდა.
იქით ფერდობში შაშვი ჰგალობდა,
აქეთ წყლის პირად ჰყენესდა ბულბული;
იქვე მახლობლად მთის ნაკადული
ტყისკენ მიხტოდა გამალებული.

ა. შანშიაშვილი.



ესახ.

საბლდუომო მოთხოვბა.

(თარგმანი)



ატარა სამაზრო ქალაქ №-ის ერთ ერთ
სანოვაგეთა სავაჭრო დუქანში ხალხი ბუ-
ზივით ირეოდა. პატრონს და მისს ორ
ნოქარს ერთის წუთის მოსვენებაც კი არა
ჰქონდათ და განუწყვეტლივ ციბრუტივი-
თა ტრიალებდნენ, რათა თვითეული მყიდ-
ველი დროზედ დაეკმაყოფილებინათ.

დიდ შაბათის საღამო იყო. ყველა ჩქარობდა, რაც შეიძ-
ლება, მალე დაემთავრებინა თავისი საქმე, რათა მოესწრო
დაწმენდილ-დასუფთავებულ ტანისამოსის ჩაცმა და საყდარში
წასვლა.

სხვა მყიდველთა შორის ერთ კიდევში იდგა ახალ-გაზრდა,
ძალიან-უბრალოდ ჩაცმული ქალი და მოთმინებით ელოდე-
ბოდა თავისს რიგს.

ნოქარმა არა ერთხელ გადაავლო ალმაცრივ თვალი და
არა ერთხელ მიახალა ჩვეულებრივი:

„რას ინებებთ?“

მაგრამ გაიგონა ოუ არა პასუხად:

— ორი გირვანქა ფქვილი, ნახევარ გირვანქა ერბო და ერთი გირვანქა ფხვნილი შაქარი,

მცვახედ მიუგო:

— ამ საბათში! — და საქონელს ისევ სხვა მყიდველებს აძლევ-და, რომლებიც უფრო ბევრსა თხოულობდნენ.

სადად ჩატმული ქალი არ ჯავრობდა. გაჭირვებამ უკვე ასწავლა სცოდნოდა თავისი ადგილი, და პასუხი არ გაეცა, როცა უსამართლოდ ექცეოდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, მიაქციეს იმასაც ყურადღება. დააკმაყოფილეს ოუ არა, ქალმა გააშურა შინისაკენ. მისი პატია ბავშვები მარტო იყვნენ სახლში. ვაი ოუ შეეშინდათ რისამე?

სამაზრო ქალაქის ქუჩები ერთბაშად გამოცოცხლდა. წამ და უწუმ მიეშურებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად სოფლელი გლეხები, რომლებიც საყიდლად ჩამოსულიყვნენ. ირეოდნენ დედაკაცები პატარა კოლოფებით და ბოხებით ხელში.

არა სასიხარულო გრძნობით მიიჩქაროდა შინისაკენ ახალ-გაზრდა ქალი. მისი, საზოგადოდ შევიწროებული ცხოვრება, სწორედ ახლა, როცა მოატანა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგო-მამ, უფრო სამძიმო შეიქმნა და აუტანელ, საშინელ ტვირთად დააწვა სუსტ ქალს.

მისმა ქმარმა, საქონლის მატარებლის მემანქანემ, აგერ მესამე წელია, რაც თავი მოიკულა და დასტოვა ამ ქვეყნად ორის პატაწა ბავშვით, ყოველ-გვარ საცხოვრებელ საღსარს მოკლებული.

არც მუდამ ყვირალა და ლოთ ქმართან გაუტარებია ტკბილი დღეები, მაგრამ მაშინ ცოტა რამ მაინც მოჰყვებოდა ხელში ოჯახისათვის. მისი შვილები ყოველ-დღე მაძლრები მაინც იყვნენ და თბილ ოთახშიაც ისხდნენ. პატარების კე-თილ-დღეობას ყიდულობდა შეუშროებელ ცრემლბით და დამ-ცირებით ლოთის ქრის წინაშე, რომელსაც რაიმე ეშმაკობი-



თა და მოხერხებით თუ დასცინცლავდა ხოლმე ფულს აკადემიური საჭიროებისათვის.

მაგრამ ყოველსავე ამას ადგილად იტანდა, ოლონდ-კი ბავშვებს არ მოშივნოდათ.

ქმრის სიკვდილს შემდეგ, რკინის გზის კასიდან მისცეს ცოტაოდენი თანხა, რომლითაც სცხოვრებდა პირველ ხანსა.

შემდეგ, როცა შეატყო, რომ ეს თანხაც მალე სულ გამოეცლებოდა ხელიდან, დიდის ვაი-ვაგლახით იშოვა გადამ. წერის ადგილი ერთ ნოტარიუსთან, საიდანაც თვიურად 15 მან. იღებდა

წინანდელ ფულიდან დარჩა 100 მანეთამდე. ამ ფულს აკლებდა თვე და თვე თითო თუმანს, უმატებდა თავის ჯა-იაგირს და გაჭირებით სცხოვრობდა თითქმის მთელი ერთი წელიწადი.


უცებ, სწორედ ყველივრის კვირას დაითხოვეს სამსახუ-რიდან და მისი ადგილი ნოტარიუსმა თავისს ძმის-წულს მისცა.

ახალგაზრდა ქალი ხელ-ახლა შეუდგა ცდას, თხოვნას, მაგრამ აქამდე ვერაფერი ადგილი იშოვა,—არც იმოდენა სწავლა ჰქონდა, არ იცოდა ენები, ანგარიში და, აბა, რა ადგილი შეეძლოთ მიეცათ მისთვის!

სიამოვნებით წავიდოდა და დადგებოდა სადმე დიდ ქა-ლაქში ოჯახის მწედ და მეთვალყურედ, მაგრამ ბავშვები სად წაეყვანა, სად დაებინავებინა? მიხო ეხლა გადადგა მერვეში; ხოლო ვერა სულ 4 წლისა იყო. არც ნათესავები ჰყავს ქალს. მეგობრები და კეთილის მყოფნი აძლევენ ათას ნაირ რჩევას, მაგრამ არავინ ეხმარება, რომ შეუმსუბუქოს ცხოვრების მძიმე ტვირთი.

დღეს გადათვალა მთელი თავისი თანხა, რომელიც მძი-მედ ჰქონდა შენახული ქისაში. იქ აღმოჩნდა სულ 7 მან. და 18 კაპ.

ამ დილით იყო ერთ ოჯახში, საცა დაპირდნენ გა-



გადამწერის ადგილს, მაგრამ უარით გამოისტუმრეს, უარის გადასწყვიტეს საწერ მაშინის შექნა.

საშინელმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო საცოდავი ქალი: ბავშვები, როცა სახლიდან გამოუიყდა, დაუინებით სთხოვდნენ წითელ კვერცხების ყიდვას.

იმანაც უყიდა კვერცხებიც, კულიჩიც, ერთი პაწაწინა პასკაც და ცოტ-ცოტა ყველაფერი სადღესასწაულოდ. ყველა ამ ნავაჭრის შემდეგ დარჩა მხოლოდ + მან.

დე, ბავშვები მხიარუ ად მიეგებნენ დღესასწაულს და შემდეგ რაც მოგვივა—მოგვივიდეს!

ამ აზრებით მიღიოდა შინისაკენ ახალგაზრდა ქალი; ამ აზრებით გააღო პატარა კარი და ფეხ-აკრებით შევიდა ბნელ და ვიწრო ოთახში.

მიავლ-მოავლო თუ არა თვალი ორის დღის გაუთბობელ, ღარიბულად მორთულ ოთახს, მიუახლოვდა განიერ კედელთან მდგომ საწოლს და გადახადა საბანი მიხოს და ვერას. ტანისამოს გაუხდელად დასძინებოდათ. ეძინათ ლრმად და ტკბილად.

მოსწყენოდათ უდედოთ, მოშივნოდათ და შესცივნოდათ კიდეც, მიწოლილიყვნენ და საბანი გადაეფარებინათ.


დედის გულმა აჩქარებით დაიწყო ცემა, თვალებზედ ცრემლები მოადგა. საცოდავები! წვანან და არ იციან კი, რა მოელით სულ მალე!

ახალგაზრდა ქალმა ლამპარი არ აანთო. დაჯდა და ფიქრებში წავიდა

არ უნდოდა არც ოთახის მილაგება სადღესასწაულოდ, არც ეკლესიაში წასვლა. თითქოს გულიდან რაღაც მოჰველი ჯესო, სულით დაცა და საშინელმა უიმედობამ შეიპყრო მისი არსება.

დრო გადიოდა, გარედ სულ ერთიანად დაბნელდა და ოთახშიაც საშინელი სიბნელე ჩამოწვა. ციოდა. ქალი კი გაშტერებული ქანდაკებასავით იჯდა და ერთს შავს წერტილს მისჩერებოდა.

ଶୁଭ୍ର ମୋହିରେନା, ତିତକ୍ଷେ ମିଳ ଓତାବିଳ ଫିଲ୍ ଗୋଲାପିଶ୍ଚମିଶ୍ରମ୍ୟରୁ
ରୁ. ବାଦିଜମା ମରାତ୍ରାନା କ୍ଷେତ୍ର କାର୍ଯ୍ୟବିତାନ, ଦୋଷ୍ୟନାରଦା ପିତ୍ତତିତ ଏବଂ
ବସ୍ତି ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରଦା.



ଅଥାଲଙ୍ଗାଶ୍ରଦ୍ଧା କ୍ଷାଲମା ଶୁଭ୍ର ବାନତର ଲୋମଦାରୀ ଏବଂ ତ୍ରଣତବିଲାଦ
ଗ୍ରାମର ଓତାବିଳ କାର୍ଯ୍ୟ. କିବ୍ୟେତାନ କିନାରାମ ଦୋଷ୍ୟ, ବୈଶ ଦୋଷ୍ୟଜାତୀ
ରାଜାପ୍ରାଚୀ ଖବିଲୁ.

„ღმერთო ჩემო! ეს რას ჰნიშნავს, ბალლი ხომ არ შე-
მომიგდეს“, გაიფიქრა და დაიხარა ძირს.

უცებ ხელი საშინალად აუკანკალდა, ლამპარი კინალამ
ხელიდან გაუვარდა, წარბებმაც თრთოლა დაუწყო და სახეზედ
ნალვლიანი ლიმი უკრთოდა. დიალ, მის წინ იდო მძინარე
ბალლი, გახვეული ლურჯ შალში.

შებრუნვდა ოთახში, დადგა მაგიდაზედ ლამპარი, შემდეგ
ფრთხილად შემოიტანა ბალლიც და წყნარად დაჯდა მაგიდას-
თან.

საოცარმა ფიქრებმა წაიღო ამ ერთი ბეჭვა უპატრონო
ბალლის დანახვაზე. ვისია? საიდანაა? აქ, პატარა ქალაქში ყო-
ველივე ცხადადა სჩანს. ეს აქაური არ უნდა იყოს. ალბად
ვინმე ჩამოსული იქნება; ამ ქალაქზედ მიდის დიდი საფლასტო
გზა.

რატომ მაინცა და მაინც მე მომიგდეს? ნახეს იმათაც
შეძლებული ოჯახი! ჩემი საკუთარი ბავშვებიც, ორი-სამის დღის
შემდეგ, უნუგეშოდ დარჩებიან და ამის პატრონი ვიღა იქნე-
ბა? რა მწარე დაცინვაა! იმას, ვისაც ცხოვრების მწარე
ტვირთმა წელი მოსწყვიტა, განგება კიდევ ახალ, სხვა ტვირთს
უმატებს!

ამ დროს მახლობელ ეკლესიაში ზარი დარეკეს. ამაყმა
დღესასწაულებრივმა, ძლიერმა ხმამ დაარღვია ღამის მდუმა-
რება და გაიტაცა ყოველ კუთხით სასიხარულო ამბავი აღდ-
გომისა.

პატარა ბალლმაც, თითქოს ამ ხმის დანატრულებულმა,
თვალები გამოაჭვიტა, და მისმა ნათელმა, წმინდა მხედველო-
ბამ დაინახა უცხო დედის სახე.

დიდმა, მწველმა სიბრალულმა მოიცვა საცოდავ ქალის
კეთილი გული, ერთის წუთით დაავიწყა თვისი საკუთარი ჯავ-
რი და ნაღველი.

სასოწარკვეთილებას ეძლევა, მძიმე ტვირთისაგან მოქან-
ცული და, აი, ეს ბალლი კი იმაზედ უბედურია! ტვირთი

უფრო მძიმე ტვირთი ობლებისა უკვე დააწვა მის საუკი, ბალლურ მხრებს.

ქალი, თითქოს აჰყა საიდუმლო სწრაფვას სულისას, დაინარა და დააწება ტუჩები პაწიას ფუნთუშა, თბილ ლოცას.

— ქრისტე ალსდგა, პაწია ობოლო! დაიძინე, ნუ შეშობ. თუმცა ღატაკი ვარ, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, არ დაგტოვებ, საბრალო ბალლო, სთქვა ნელის ხმით ქალმა.

შემდეგ წამოდგა, ფრთხილად მიაწვინა უკვე მძინარე ბალლი თავის ბავშვების გვერდით და წუთით შეჩერდა საწოლთან ღრმად ჩაფიქრებული.

უცებ მოაგონდა, რომ ბალლს რე ენდომება და მე კი სულ ერთი ჭიქა მაქვს და ისიც სახვალიოდ ვერასათვის შენახულიო.

მაგრამ არა უშავს-რა! ვეროჩეა უკვე დიდია, ჩაისაც დალევს, რე კი ეხლავ უნდა ავადულოვო. უცებ მოაგროვა ცალკე შენახული კიწაწები, დაანთო ცეცხლი და დადგა ტაფით რე.

ახალგაზრდა ქალი გამოცოცხლდა. მისმა სახემ უცებ ღაპკარგა სასოწარკვეთილების გამოხატულება, რომელიც ნათლად ემჩნეოდა რამდენსამე წუთს წინად. ახალმა ჯავრმა, ახალმა ზრუნვამ თითქოს დაჩრდილა მისი წინანდელი ჯავრი და ვარამიო.

— ღმერთო! შენის სახელოვანის აღდგომის გულისათვის დამებმარე! — ხმა-მალლა წარმოსთქვა და მხურვალე ლოცვით აღაპყრო ხელები.

ქუჩიდან კი ისევ მოისმოდა გამარჯვებული და სანეტარო ზარის ხმა.

ამასობაში რეც აღულდა, ქალმა ფრთხილად გადმოილო ტაფა და დადგა მაგიდაზედ.

რაღაც რბილად დაეცა შრიალით მის წინ იატაკზედ.

დაიხარა და იღო თეთრი კონვერტი. — ჰო! ეს იღბად ბალლის საბნიდან გადმოვარდებოდა, როგორ ვერ მიგხვდი და

აქამდე არ მოვძებნე წერილი. აქ ეწერება ბალლის სახელი. ისე ვიყავ წასული ფიქრებში, რომ ეს სულ გადამავიწყდათ.

ახალგაზრდა ქალმა გაპხია კონვერტი და უცებ მაგიდა-ზედ გადმოცვივდა ხუთი წითელი ქაღალდის ფული.


თვალი მოავლო ფულს და ასე ეგონა სიზმარში ვარო. მთრთოლვარე ხელით ამოილო კონვერტიდან წერილი და აკანკალებულის ხმით დაიწყო კითხვა:

„ბალლს ჰქვიან თამარი. ერთის თვისაა. ყოველ თვე მი-იღებთ უცნობისაგან 50 მან. ბავშვის შესანახად. ხოლო ზრუნ-ვისა და სიყვარულის ნაცვალი, დეე, ღმერთმა გიზღოთ. მე ვერ მიცნობთ, მაგრამ შემთხვევით გავიგე თქვენი ამბავი და ჩემის ბავშვის ბედ-ილბალს თქვენს კეთილ გულს ვანდობ. ვერც თქვენ და ვერც ეგ ვერასოდეს ვერ გაიგებთ ჩემს სახელს. თქვენ იქნებით მაგისი დედა და მე ვიზრუნებ თქვენთვის და თქვენის კარგის შვილებისათვის, რომელნიც ახლა სამი გყავთ.


ქრისტე ალდგა!“

კაკი პაპავა.





გუგული.



ღეს გუგული იძახდა, დედავ, ღმერთის
მადლმა! — ფიცულობდა ჩემი ძმა ეფრემი,
თუმც არავინ არ აფიცებდა. საღამოთი
რომ საქონელი მორეკა ტყიდან, ბაკში
საქონელთან ვიყავით მე. უნცროსი, ეფ-
რემი, ჩემზე ოთხის წლით უფროსი, — ვადე-
ქით თავზე დედას, რომელიც ფურსა სწველავდა; ტაგანში
(ხის კასრი); ჩხრიალი ჩაჰელნდა რძეს და სასიამოვნო სუნს
გვაბნევდა ცხვირში. თან სულით ვილეოდი, როდის მოჰე-
ბოდა ძროხების წველის, რომ ტაგნით ჩემთვის რძე დაელეი-
ნებინა; დაჩვეული ვიყავი, მიყვარდა თბილ-თბილი რძე და
ამიტომ ძროხების წველის დროს დედას თან დავყვებოდი მუ-
დამ.

— მერე, დედა გენაცვალოს, და ღალა ვერ მოჰპარე? —
დაეკითხა დედა ეფრემს.

— ვერა, იმ დასაქცევმა დამინახა და გაფრინდა. სად
წავა: კიდევაცა ვნახავ, იმდენს ვეცდები, დედავ, ზიარების
მადლმა, რო მოვპარავ ღალას. განა მუდამ დამინახავს? ისე
მივეპარები ჩუმალ... ჩუმალ... ნელა... ნელა... როცა ის
„გუგუს“ იძახის არხეინად და არსაიდან საფრთხეს არ მო-
ლის. — ამას რომ ამბობდა ეფრემი, თან მიწაზე გახოხდა; თვალ-
საჩინოდ გვაჩვენებდა, როგორც უნდა მოეპარა გუგულისათ-
ვის ღალა.

— არ მომატყუო კი, დედის ტკბილო, თორემ მალე



გავიგებ, რე და კარაქი თავად გამაგებინებს, როცა მოპარავ, — წარმოსთქვა დედამ.

— რად მინდა, რო მოგატყუე?! არ მოგატყუებ, ზიარების მადლმა!..

ეფიცებოდა დედას ეფრემი.

მე „გუგულის“ ღალამ და იმის მოპარვამ“ გულში ცნობის მოყვარეობა აღმიძრა და დავვეკითხე დედას:

— მასწავლე, დედილო, შენი ჭირიმე, როგორ უნდა მოპარო ღალა გუგულს. ხვალვე წავალ, მოელი დღე არ მოვეშვები და მოპარავ. შენი ჭირიმე, მასწავლე.—ღალაზე კარგს ან კი რას მოვიპარავდი?

— მე გასწავლი, ბიჭო, მე ვიცი, როგორც უნდა მოპარო გუგულს ღალა.—მეუბნებოდა ეფრემი.

— დედა მეტყვის, დედა მასწავლის, შენი ნასწავლები არ მინდა, — უთხარი და დედასა ვთხოვდი ესწავლებინა ჩემთვის, როგორც უნდა მომეპარა ღალა გუგულისათვის და ეს ღალა თუ ბარაქა შამეძინა ჩვენის ძროხების ნაწველისათვის. დედა მიამბობდა, მაგრამ ეფრემი როდი აცლიდა.

— ღალა გინდა მოპარო, შვილო, გუგულსა? — მომმართა დედამ.

— უნდა მოპარო, ხვალ საქონელში გავყვები ეფრემს, თავს მოვიკლამ და მოპარავ, — უპასუხე მე.

— ნეტავი თქვენა, თუ მაგას იზამთ! რე ბევრი გექნებათ და ხვრიტეთ, რამდენიც გინდათ, შვილებო, სთქვა დედამ— მაგრამ ძნელია გუგულისათვის ღალის მოპარვა:— უნდა, შვილო, მიუხვიდე ძირში იმ ხეს, რომელზედაც ზის და „გუგუს“ იძახის; უნდა ტანთ, ფეხთ გაიხადო, ხეს სამჯერ შემოუარო გარსა და სამჯერ წარმოსთქვა ეს სიტყვები: „გუგულო, ღალა მოპარე: დო ხშირი, კარაქ-მრავალი!“

თუ ამას დაასრულებ ისე, ვერ გაგიგო და არ გაგიფრინდა, ღალა მოპარული იქნება; თუ გაგიფრინდა, ღალა თანვე გაჰყვება.



მითხრა რა ეს დედამ, თან რამდენჯერმე გამამეოლეჭიშვია „გუგულო, ღალა მოგპარეო“.

მეც ვიმეორებდი და იქვე შევისწავლე; ვიძახოდი ხმა-მალ-ლა: „გუგულო, ღალა მოგპარე: ღო-ხშირი, კარაქ-მრავა-ლი“. ჩვენი მურკა გაკვირვებული შემომჩერებოდა და თან ბანჯვლიანს კუდს იქნევდა ამ დროს.

დავწერ ლოგინში და თან იმას ვიძიხოდი: „გუგულო და გუგულო, ღალა... მოგპარე“..

როგორ მინდოდა გულით, რომ ბევრი კარაქი მოგვე-გროვებინა, ბევრი ხაჭო, ბევრი ყველი. როგორ ვევედრე-ბოდი ღმერთს, საბან ქვეშ ვლოცულობდი: „ღმერთო, იქსო ქრისტე, სულო წმიდაო, სამებაო ერთ არსებაო, შემეწიეთ, მომიმართეთ ხელი, მომაპარვინეთ გუგულისოფის ღალა, თქვენ გენაცვალეთ, თქვენი ჭირიმეთ. როგორ გაუხარდება დედა ჩემს, როცა დაინახავს რძეში გუგულის ღალას, მეც როგორი კაი ბიჭი ვიქნები, ეს რომ შევიძლო! აღუთქვი სანთლები ღვთის მშობელს, მაცხოვარს:—დედას ფულს გამოვართმევ, თუ თხოვნას ამისრულებთ და სანთლებს აგინთებთ მეთქი საყ-დარში, თითო შაურიანს სანთლებს მეთქი.

მამა მოვიდა, გუთანზე იყო, იმანაც ეს ამბავი მოიტანა: „გუგული იძახდა!“ ჩემი გული თავის ალაგას ალარა დგებო-და, მოუთმენლად ველოდი განთიადს. ენახავდი, რა ფრისა, როგორი ფრინველი იქნებოდა გუგული, რაღან ჯერ არ მე-ნახა და, თუ ხვალ ვერ მოვახერხებდი ღალის მოპარვას, ზეგ, მაზეგ მომიმართავდა ღმერთი ხელსა.

მამამ ჩოხის კალთით კალბახა სოკო (ხისა) მოიტანა. ხელში მომაჩეჩა ბარძიმის მსგავსი, სოკოს ჰერედა და თან დაატანა:

— აი, ბიჭო, გუკულის კაბა!

მშვენიერი, წითელი ფერისა იყო, თითქოს იცინისო, ისე გეჩვენებოდა, ზევიდან რომ დაგეხედნა. სწორედ კარგი რამ იყო!.. ხელში ვატრიალებდი და ვკოცნიდი.

ეს იმის ნიშანია,—განაგრძობდა მამაჩემი: რომ გუ-გული მოსულია და, ვიდრე პატრონის ხმას არ გაი-

გონებს, არ ეჩვენება არავის. გაისმის თუ არა ტყეში „გუ-გუ-
უ“, ამოღალანდება, მხესავით ამოაშუქებს ულრანს ტყეში,
ყვითელ დასალპობად გამზადებულ ფოთლების გროვიდან და
დაუძახებს გუგულს: „სადა ხარ, მშვენიერო მძლევარო? სადა
ხარ, ჩემო ტურფა პატრონო, გუგულო? მოდი, ჩამიცვი ტან-
ზე, დამშვენდი,—ლამაზი მომეტებულად გალამაზდიო!“ უძა-
ნის კაბა გუგულს.

გუგულიც იქ მიფრინდება, საიდანაც თავის კაბის ხმა ჟაეს-
მის, სადაც ის არი მოსული, დაჯდება ხეზე, მიუალერსებს,
მოესაყვარლება და გასძახებს:

— რას ტიკტიკებ, შე კარგო, შენა, გუგულო! გაჩუმ-
დი, გაჩუმდი! როგორ გაგიმეტო, როგორ გაგიმეტო?
როგორ, როგორ გაგიმეტო?! ტანზე ჩაგიცო, გაგცვითო,
ეგრე ტურფა, ეგრე ლამაზი? არა, არა, უნდა გიყურო;
შენის ცქერით იხაროს ჩემა გულმა და თვალებმა, და-
ტკებს ჩემი სიცოცხლე... არა, გულო, არა, გულო... და
ჩვენ-კი „გულის“. მაგივრად -გუ“ გვესმის... სულ ინახავს



და ინახავს კაბას, თავის დღეში არ ჩაუცვამს... და არც ჩაიც-
ვამს... გუ-გუუ, გუ-გუუ... — ის დასაჭუვვი!... ძალიან ეშმა-



კია.—მე ამ ჩემი ლეგა, ნაცარა კაბითაც იოლად გამოვლიგა
რო... გუგულის კაბას სული მისდის, რომ თავისი თავი გუ-
გულის ტანზე ნახოს, ფრინავდეს, დაფრიალობდეს გუგულთან
ერთად, მაგრამ, ვერ მიართვეს!... ძალიან ეშმაკია. სულ სა-
მერმისოდ ინახავს და რჩება გუგულის კაბა ერთავად ახალი,
გაუცვეთელი... ძალიან ეშმაკია, ძალიან ზარმაცი, უყვარს
უსაქმოდ ხეტიალი, მღერა-თამაში, შექცევა, გართობა; თავხე-
დობაცა სჭირს: თავის დღეში ბარტყებს თავად არ გამოსჩე-
კავს, იმდენს იეშმაკებს, სხვას გამოაჩეკინებს, ტრედის ან
ჩხიკვის ბუდეში კვერცხებს დასდებს; თუ დრო იხელთა, იმათ
კვერცხებს მიირთმევს კიდეც და თავის კვერცხებს ადლვებინებს
და ბარტყებსაც აჩეკინებსო.

მამა რომ არ მატყუებდა, ჩემის თველითა ვნახე, ორისა
თუ სამის კვირის შემდეგ.

გუგულზე ეხლა ცოტათი ნათელი წარმოდგენა მქონდა;
მამაჩემის ნალაპარაკევიდან რაც ლალის მოსაპარავად იყო სა-
ჭირო, ის ცოდნაც შევიძინე: დიალ, თუ გუგული ხშირად იმ
ხეზედა ჯდება, რომლის ძირშიც გუგულის კაბა ხარობს მეთ-
ქი,—ვიფიქრე,—ადვილად შეიძლება კაცმა მოახერხოს ლალის
მოპარვა,—უნდა, მაშასადამე დავჯდე ხის ძირში ფეხშიშველა,
თუ ტიტლიკანა არა, მარტო პერანგის ანაბარად და უცალო
გუგულის მოფრენას; რა წამს მოფრინდება, გადავიძრობ ხე-
ლად პერანგს და შემოურბენ ხეს გარსა.

II

მეორე დღეს მე და ჩემმა ძმამ ეფრემმა წავასხით საქონე-
ლი საძოვარზე. ჩვენი მურკაც თან მოგვდევდა. საძოვარი აღ-
გილები ჩვენი დაბურულ ტყით შემორტყმული ველები იყო,
საითაც საქონელს მივერეკებოდით. გზაში მე და ეფრემი შევ-
ლაპარაკდით, არა მე მოვპარავ გუგულს ლალას, არა მეო.

— შე ბაყაყო, შე ღოყლაპიავ! შენ როგორ უნდა მოჰ-
პარო გუგულს ლალა? — მითხრა დაცინვით ეფრემმა.



— დაიკარგე, შე ელამო, შე ბრუტიანო! მარტო უმაღლესობისათვის
თავი გვინია ყოჩალი და სხვა აღარავინა? აბა, დაიცადე, თუ
არ მოვპარავ და ჰქანავ კიდევ.— მე ხერხი ვისწავლე და შენ
კი არ იცი! — უთხარი თავმომწონედ.

— რა ხერხი? თქვი რალა? რასა ჰმალავ, ვის უმალავ, შე
უბედურო? გინდა შენა გცოდნია, გინდა მე. გინდ შენ მო-
გიპარია ღალა გუგულისათვის, გინდ მე?! — მეუბნებოდა ეფრემი

მართლაც ისე იყო, ამას კარგად ვგრძნობდი, მაგრამ მე
ჩემად მინდოდა უნარი გამომეჩინა და სახელიც შემეძინა და
ამიტომ ვჯიუტობდი, ვეურჩებოდი.

— მე ვარ და არ გასწავლი, მე ვარ და არ გასწავლი! —
ვიძახოდი და თან კანკალით მივსდევდი საქონელს.

ეფრემი ძალას აღარ მატანდა. **საქონელი** ბალახიანს და
ტყიანს ადგილს მივუმარჯვეთ. მე **ტყეში** დავრბოდი და გუ-
გულის კაბას ვეძებდი, რამდენსამე ადგილას **შევხვდი**, მაგრამ
იქ გუგული არ იძახდა, მისი ხმა **შორიდან** ისმოდა, — სჩანდა
რომ იქ უფრო ბევრი იდგა „გუგულის კაბა“ და გასვლაც იმ
ხევს, კლდიანს, ოლრო-ჩოლროს, ძნელი იყო.

— აგერ, ბიჭო, გუგული სად იძახის, აბა, თუ ბიჭი ხარ
წახვალ და მოკპარავ ღალას! — მითხრა ეფრემია.

— თუ ბიჭი ხარ, შენ წახვალ! — ვაქეზებდი მე ჩემის
მხრით ეფრემას, მაგრამ როგორც მე, ისე იმას არ ეწადა
ხევები კლდეებზე ბლოტიალი. ჩვენ ის გვინდოდა, რომ
ალო-მახლო სადმე გაგვეგონა გუგულის ძახილი.

მე **ტყეში** ერთ ხის ძირის **დავჯეჭი**, რადგან იქ ორი თუ
სამი გუგულის კაბა იყო მოსული და კარგა ხანს ველოდე-
ბოდი, მაგრამ ამაოდ კოდალა ხეს ურაკუნებდა ნისკარტს,
ჩხიკვები ბლომად ჩხაოდნენ. ხმელ წიფლის კენწეროზე ქედ-
ნები სხდებოდნენ და ღუღუნებდნენ, ხოლო გუგული არსად
არა სჩანდა.

მოლოდინით გული გადამელია, ხოლო ჩაღლა **შაკერით**
ოვალები გაწყალდა. მომწყინდა მარტოკა **ტყეში** ყოფნა, თა-

ნაც პური მომშივდა, ეფრემი საქონელს თავს ვერ ანებებდა, ეშინოდა ყანებში არ წასლოდა, მურიკა ეფრემს არ ეშვებოდა, იმასთან ყოფნა ერჩივნა ჩემთან ყოფნას.

— ი ტყეში რას აკეთებ, ბიჭო, განა მოვა და თავზე დაგაჯდება? აი, შე უტვინოვ, შენა,—მითხრა ეფრემმა და თან გულიანად იცინოდა: —ეგრე კი არ უნდა, ბიჭო, უნდა უოვალთვალო და, როცა ხეზე დაჯდება, ხე დაისწავლო, მიხვიდე მიპარვით და ღალა ისე მოპარო. შენ რომ მთელი წელიწადი ტყეში იჯდე, იქ რა მოგივა?—მეუბნებოდა ეფრემი.

— მაშ, გუგულის კაბასთან არ მოვა? სად წავა,—მაშა? უპასუხე მე რიხიანად.

ეფრემმა უფრო გულიანად გაიცინა:

— ეგ არი შენი ხერხი? ძალიან ხერხი გცოდნია, მეტი ალარ შეიძლება,—მეუბნებოდა ეფრემი და თან იცინოდა. ამ დროს შორი-ახლოს თავზე ფრენით გადაგვიარა ნაცრის ფერმა ფრინველმა.

— აგერ, ეგ არის გუგული!—მითხრა ჩემმა ძმამ.

— დაჯექ რაღა, შე რჯულ-ძალლო,—წავილაპარაკე მე ძალა-უნებურად გუგულის დანახვაზე. მაგრამ იმან მე არ გამიგონა, გაფრინდა შორს და მიეფარა ტყესა და გორებს. გულ-დაწყვეტილი მე თვალებს ვაყოლებდი, ვიდრე სჩანდა, და, აბა, თვალებით, დანახვით ხომ ღალას ვერ მოპარავდი?

III

მთელი სამი კვირა ძალზე ვსდიეთ გუგულს მე და ჩემმა ძმამ ეფრემმა, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით გუგულისთვის ღალის მოპარვაში, მაგრამ ვერაფერს ვერ გავხდით. ორ ვერსის მანძილზე მივდიოდით იქიდან, სადაც საქონელს ვაძოვებდით, რომ ღალა მოგვეპარა, მივეპარებოდით, ხოლო ტანისა-მოსის გახდას ვერ ვასწრობდით მთლად, გაგვიგებდა და გაგვი-



ფრინდებოდა. მე ჯავრი მომდიოდა. ეფრემი ხომ გრაფისაგან
კბილით ხორცს ივლეჯდა და ემუქრებოდა. ერთხელ თურმე
ისეთ დროს გაუფრინდა, რომ მესამედ ვეღარ მოასწრო წიფ-
ლის შემოვლა და სათანადო სიტყვების თქმა: „გუგულო, ლა-
ლა მოგპარეო“ და სხვ.

ჩემმა შრომამ ტყუილად არ ჩაიარა: ერთხელ კაი სეირი
ვნახე—ჩხიკვებისა და გუგულის ჩხუბი. ძალიან ყოფას აწევდ-
ნენ ჩხიკვები, სულ სათითაოდ ფრთა-ბუმბულს აგლეჯდნენ,
მოესწროთ იმ დროს, როცა გუგული ჩამჯდარიყო ჩხიკვის
ბუდეში კვერცხის დასადებად, მოესწროთ დედალ-მამალ ჩხიკვ-
სა; იმათ სხვები მოჰშველებოდნენ განგაშის ხმაზე და—შენს
მტერს—რომ ისინი გუგულს დღეს აყრიდნენ, სულ ბოლოს
ადენდნენ ზურგზე. მე გული მოვითხანე: „ჰე, ეგა ნახე, არ
მომცემ ლალასა?!” სხვა უარესიმც დაგმართნია! აი, ყოჩალ,
ჩხიკვებო, ყოჩალ, დაპკარით, ეცით!“ მივძახოდი ჩხიკვებს
გახარებული, როცა ისინი გუგულსა სდევნიდნენ და სცემდ-
ნენ, ზოგი გზას უკრავდა, სხვები უკან მისდევდნენ, დანარ-
ჩენნი აქეთ-იქიდან ალყას არტყამდნენ, რადგან აქეთ-იქით
აწყდებოდა და საფარს და გასაპარს ალაგს ეძებდა...

ამ სეირის მნახველი გულიანად ვიცინოდი, ძალიან მესი-
ამოვნა, ხოლო ჩემი ძმა ეფრემი გულ-ნაკლულად იყო, რაღა-
ცას სხვას ფიქრობდა, თუმც ამ ფიქრს მე არ მიზიარებდა.

იმ ხანებში მამა-ჩემი კახეთს წავიდა ერთის კვირით. ეფ-
რემს ალდეომა გაუთენდა: დრო დარჩა მამიჩემის თოფი ეტა-
რებინი თან, საქონელში. ეფრემი თოფს კარგად ესროდა,
საფანტს და წამალს მამაჩემსა ჰპარავდა ცოტ-ცოტაობით, რომ
ვერ გაეგო, მონადირეებისაგანაც-კი თხოულობდა...

საქონელი ჩვეულებრივ გავრეკეთ საძოვარზე, ეფრემმა
მამის თოფი ვაჟკაცურად მხარზე გადიკიდა, თუმცა დედა უშ-
ლიდა:—მოგკლავს, ბიჭო, მამაშენი! არ გასტეხო, არაფერი
გაუფუჭო, თორემ ვეღარ ვეჩვენები თვალითა.

ეფრემი ყელს უწევდა დედას, ნება მიეცა თოფის წალებისა და დიდს ფიცას სდებდა, არაფერს გავაფუჭებო. დედამ რის ვაი-ვაგლახით ნება დაგვრთო თოფის წალებისა. თან გვა-ბარებდა:

— დედა-შვილობას, გაფთხილდით, არ გაგივარდეთ, არ მოიხვედროთ!

როცა საქონლის საძოვარ ადგილას მივედით, ეფრემმა მე საქონელს დამიყენა და თავად ტყეში გაძერა:—მალე მოვა-ლო, —დამპირდა. ძალი არ გაიყოლა; მურკა ჩემთან დარჩა, რადგან პურის ლუკმებს უყრიდი, მინდოდა ჩემთან ყოფი-ლიყო. ტყეში რამდენსამე ადგილას გუგულები იძახდნენ... არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ტყიდან თოფის ხმა მოისმა. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ტყიდან გამოჩნდა ეფრემი, თავ-მომწონედ მოდიოდა და მარჯვენა ხელით რაღაცას მოატლა-კუნებდა. მოვიდა და დადგა ჩემ წინ, მარჯვენა ხელში მკვდა-რი ფრინველი ეჭირა.

— ბიქო, ეგ რა არი?—ვკითხე მე, თან ჩამოვართვი და სინჯვა დაუწყე.

— ვერა ჰედავ, რა არი?—მიპასუხა ეფრემმა, სახე და თვალები უბრძანიავდა:—ღალას რო არ გვაძლევდა ეგა, ნა-ხოს.—ეხლა მთლად ჩვენია თავის ღალიან-ჩალიანად, დავკი-დოთ სახლში, სარძეულთან ახლო.

— გუგული? საწყალი! მერე ცოდო არ არი?—ვკითხე კვალად ეფრემს.

— ცოდო კი არა, ის არ გინდა? რის ცოდო უნდა იყოს? მე კი არა ვარ ცოდო, რამოდენა ვსდიე და არ იქნა, ღალა ვერ მოვპარე, ეხლა-კი მთელი თავის ღალიანად მოვიპარე. — სოქვა ისეთის კილოთი, რომ მეც დავიჯერე მისი ნათქვამი.

საღამოს ეამს ჩვენ თავზე ვადეგით დედას: მე დოინჯ შემოყრილი, ხოლო ეფრემს ნისკარტით ეჭირა გუგული და დედას თვალებ-წინ უფრიალებდა:

— დედავ, დედავ, უყურებ ამას, ჰყურობ, რა არი?— ეუბნებოდა ეფრემი ამაყად.



— ଯାଇ, ଦୁମିଲଙ୍ଗା ତ୍ଵାଲ୍ପେଦି,— ଫାମନିଦାବା ଦେଲା-ହେମମାନ-ପ୍ରମଥୀ
ରୁ ଗିର୍ଭିନୀତ, ଦିକ୍ଷା, ଶାର ଗାଗନ୍ଦିଲା ମଦଲ୍ଲେବାରି ମନ୍ଦିରାଳୁ କାପ୍ରମା?
ଖୋଲ ପ୍ରାଦେଶା!.. ଶାର୍ଷ୍ୟାଲୀ, ଶାପ୍ରାଦାତ୍ମି!.. ମାଗିଲାତ୍ମିକି ଫାତରିକ,
ତେ ଏମାଜା, ତମତ୍ତି?—ତମକିମିତ ଦେଲା-ହେମା.

ଏଫର୍ଜୀମୀ କିରିଲ୍ କାର୍ତ୍ତା ଏପା, ରାଧାନ୍, କେବିଲ୍ ମାଗିବରାଲ୍, ଏ-
ଦିଲାଗାନ୍ ସାମଦ୍ରାତ୍ମି ମିଲାଲ୍. ମେପ ଦାନିନ୍ଜି ଦାଵତ୍ତୁମ୍ଭେ, କେଲ୍ଲେବି
ଶ୍ରୀମନ୍ଦ ଗାଵିଜାର ବାରଦାଯ୍ୟେଦିନ୍ଦେ ଲା ତାଵିପ୍ର, ବିତା ଦାମନାଶାବ୍ଦେ,
ଦାବଲା ଦାଵକିଲ୍ଦେ...

“ଗୁଗୁଲା, ଲାଲା ମନ୍ଦିରାର୍ଜେ... ଗୁଗୁଲା... ଗୁଗୁଲା!“...

ପାଶା-ଫିଲାପେଲା.





მოწის...

ოდის ჩვენსკენ, მოცეკრიალებს
ფრთებ-შესხმული
გაზაფხული;
იღვიძებს და იფშვნეტს თვალებს
არე-მარე,
ჭირ-ნახული.

ცხრა-თვალი მზე ოქროს სხივებს
უხვად აფრქვევს კავკასიონს;
ყინვის ნაცრემლ ვერცხლის მძივებს
ძირს უგზავნის დედა რიონს.

ମତୋର
ବାହୀନଙ୍କୁ,
ରଦୋର
ବାହୀନ



մռճարճարյեծ,
մռժանժյարյեծ;
զյսզյեծ շրժյաց,
թյուրչոլու պյալաց
զյըլից ցա՛մլոլ
նռհի թյընարյեծ.

յոզլուկ և սրուլո
և սեարուլո,
և սոլամաժե,
և սոյզարուլո

մռճուս հյընեյք զյուրտեծ-Շյեսեմյուլո
—ցածացեյլո! ցածացեյլո!!...

Ց. յշինշցոլո.





Рис. В. Штерлинг.



მოს წყარო.

„სალის კლდის წყარო ანჯარა
მოხტის, მოცელქობს ბარადა;
თან მოიმლერის ხმა-ტკბილად
უცხო რამ ხმაზე წყნარადა“.

დინარე ვარ... პატარა მდინარე...

ჩემს სიცოცხლეში არავისთვის ვნება
არ მომიტანია, არაფერი ცოდვა არ მიმიძღვის დამბადებელის
წინაშე ..

უსულო თუ სულიერი, პირუტყვი თუ მეტყველი—ყველა
მაღლითა და კურთხევით მიხსენიებს...



იქნება გაიფიქროთ და თქვენთვის ჩუმადა სთკვათლაიდან
ცარიელი ტრაბახია, თორემ, ძალიან გულითაც რომ მოინ-
დომო, ვის რას დააკლებ, ან რა ზიანის მოტანა შეუძლიან
შენისთანა სუსტ არსებასათ.

უკაცრავად, ჩემნო კარგნო, არც ისეთი სუსტი და უღო-
ნო ვარ, როგორც თქვენა გგონიათ. თუ ჩემი არა გჯერათ,
სცადეთ. ეს ბურთი და ეს მოედანი!.. გადამელობეთ წინ, შე-
მიკარით სადინელი და მაშინა ვნახავთ, ვინც გაიმარჯვებს,
ვინ გადალახავს დაბრკოლების ზღუდეს, მე თუ თქვენ.

თუმცა პატარა მქინან, მაგრამ ძალ-ლონით უძლეველი
ვარ, ბეღნიერი, თავისუფალი, პატარა და დიდად სასარგებ-
ლო, ფრიად საჭირო... აი, რას მიმღერის თქვენივე მოძმე
მგოსანი:

ვიშ, ამ მთის წყაროს, ბროლისას,
მოღის მოიმღერს ნანასო;
დედის რძესავით ერვება,
გვალვით გადამწვარ ყანასო...

და განა მარტო ყანასა? ვინ იცის, რამდენ დაღლილ-და-
ქანცულ მგზავრისათვის ან მონადირისაგან დევნილ პირუტ-
ყვისთვის მისიამოვნებია, ყელ-გული გამიგრილებია! ვინ არ
გინდა, რომ ჩემით არ იკლავდეს წყურვილს და ქება-დიდებით
არ მიხსენიებდეს: უჰ, დაილოცე, მთის წყარო, შენით მკვდა-
რიც კი გაცოცხლდებისო...

მეტადრე გვალვიან ზაფხულის დღეებში... ოჰ, ღმერ-
თო ჩემო, რამდენი სტუმარი მეწვევა ხოლმე... სიცხისაგან
შეწუხებულნი ყველანი ჩემკენ ისწრაფიან, ჩემს ცივ წყალს
ეწიფებიან...

დავეშვები თუ არა მშობელ კლდის უბე-კალთიდან, ათა-
სი დაბრკოლებაც რომ დამხვდეს, არ ვეპოვები, გამალებული
გულ-ხეთქებით მოვეშურები დამაშვრალ სოფლისაკენ...
გზა და გზა ძალიან ბევრსა ვომობ... მეტადრე ოღრო-ჩოღ-
რო, უსწორ-მასწორო ხევ-ხუვ-ღელებში; ოჰ, რა ალიაქოს



ვახდენ, რა ალიაქოთს... აი, სწორედ ამაზე იტყვის შესაძლებელი
მგოსანი:

მთის ორწოხებში ომია,

წყარო რბის, წყარო კივისო;

როგორც დაჭრილი ვაჟკაცი,


ისე მოსთქვაშს და ჩივისო...


სულ სხვაა, როდესაც ბარად ვეშვები...

აქ უკვე გულ-დამშვიდებული მისრიალებ ჩემს საღინელ-
ში... ჩავალ თუ არა ბოჭელში, დიდი და პატარა—ყველა
სიხარულის ჟივილ-ხივილით მეგებება... ხან ისე ქურდულად
შევიპარები ბოსტნებსა და ვენახებში, რომ ვერავინაც ვერ
იგებს... ხშირად მინარე კურდლელიც დამიფეთიანებია... არც
ველად გასვლაა ურიგო.... თვალს მომკრავენ თუ არა მინდვრის
ყვავილები, მაშინვე თავს მიქნევენ,—მესალმუნებიან. მეც ყელ-
ზე ვეხვევი, ვეალერსები, ვკოცნი...

ერთის სიტყვით, მთელი ქვეყანა მიყვარს... მეც ყველას
უყვარვარ... ყველას მე ვახარებ და ყველა მე მახარებს.. მეტი
რაღა მინდა?!.. ჩემი დანიშნულებაც ეს არის... ბედნიერი
ვარ, ბედნიერი!..

გ. ქუჩიშვილი.





საუკეთესო საჩუქარი.

(ერთ მთქმედებანი სურათი, ღ. ა. ჩარხვისა).

მოგვიანი:

- 1) მგზავრი რუინი
- 2) სილამაზის ფერია
- 3) სიმღიღრის ფერია
- 4) სიბრძნის ფერია
- 5) ხელოვნების ფერია
- 6) სიყვარულის ფერია
- 7) სიცოცხლის ფერია
- 8) თავისუფლების ფერია

სასახლის ირგვლივ, სადაც სცხოვრობდნენ ფერიები, გაშენებული იყო ტურფა ბალი. ფერიების სასახლის ფართე აივანს ამკობდა მარმარილოს საფეხურები, რომლებსაც ორსავე მხრივ ჩაყოლებული ჰქონდა ვარდის ბუჩქები და ნარგიზის ყვავილები. ამავე საფეხურებს ამკობდნენ შორს ატყორცნილი ლერწამივით სწორე ალვის ხეები, საიდგანაც



მოსჩანდა ფერიების ბროლის სასახლე და მოისმოდა იღუმალიშვილი რეზენტაციაშიც კისა. კიბის საფეხურების მახლობლად ყვავილების სარეცელზედ მისძინებია ახალგაზდა მგზავრს რუინს; მუსიკის ხმაზედ ფერიები ნელის ნაბიჯით ჩამოდიან აივნიდან. ყველა ფერიას, გარდა შავთვალა გიშერ-თმიან, კეკლუც თავისუფლების ფერიასი, თავზედ პეტრავს სხვა-და-სხვა ფერის ლეჩაქი, ხოლო ტანთ აცვია ბერძნული ტანისამოსი.

სილამაზის ფერია.

აგერა კიდეც თენდება, საცაა დილის ცისკარიც ამოაშუქებს და ამას კი ასე ტკბილადა სძინავს. მე ვგრძნობ დილის სიოსა, რომელმაც ტანში დამიარა და შემათროლა... მალე ფრინველებიც გაილვიძებენ და დაგვიტკობენ სმენას თავიანთ ნაზის ჭიკჭიკით... ამ დალოცვილს კი მაინც სძინავს... სწორედ რომ სამწუხაროა! მე დიდი სურვილი მაქვს დამენახა ამისი ახილული თვალები, რომლებიც, ეჭვს გარეშეა, ჰგვანან ბნელ ღამეში მოელვარე ძვირფას ზურმუხტს, ანუ ლაჟვარდ ცის კამარას, ან და ნაზ იას.

სიცოცხლის ფერია.

გაჩუმდით, დებო, ნუ ხმაურობთ, არ გააღვიძოთ! უმჯობესია თავის თავად გამოიღვიძოს, თავის თვალით იხილოს ყველა და დაინახოს. საბრალო მგზავრი! ვერ მიხვდება, ვერც წარმოიდგენს, თუ საღ იმყოფება.

სიბრძნის ფერია.

დიალ! ეს ვერ მიხვდება, რომ ვინც ამ მშვენიერ, მომჯადოებელ ბალში შემოვა, საუკუნოდ ტყვედ დარჩება ჩვენთან, ტყვედ ჩვენის საუცხოვო ფერიებისა, დებო.

სიმდიდრის ფერია.

ანაზდეულად შემოსულა ჩვენს ბალში და მის სიმდიდრეს, იტურფე-სიმშვენიერეს მოუჯადოებია ამისი თვალთა მხედველობა, უვლია საბრალოს, დაღლილა, დაქანცულა, გზა დაჟარგვია და, ღონე-გამოლეულს, რბილ ყვავილების სარეცელზედ მისძინებია ტკბილად იმ იმედით, რომ დილას მოსძენის კარს და გაუდგება გზას. ის კი არ იცის საწყალმა; რომ ამას



ველარ მოახერხებს. დღეიდგან ეს ჭაბუკი ისეირნებს ჩვენთვის უცხოვო ბალში, ისუნთქავს ჰაერით, რომელიც შეზავებულია ნაზ ყვავილების სუნით; ყოველ დღე მოისმენს ჩვენს მშვენიერ საკრავს, შადრევანის ჩუხჩუს. ედემის ბალის კარს კი ვერ მიაგნებს და ტყვეობიდან თავს ვერ დააღწევს!..

(ყველა ფერიცბი ერთად მღერიან).

თავს ვერ დააღწევს ეს აქედანა... .

ეს ტყვეა ჩვენი, რჩება ჩვენთანა!

სიცოცხლის ფერია.

ამას აქ ტყვეობა თავისუფლებას ურჩევნია. ჩვენთან ექნება ბეღნიერი, უზრუნველი და ხანგრძლივი სიცოცხლე. დღეიდგან მეფურად იცხოვრებს. ვეცდებით, რომ იყოს ბეღნიერი—უველა ჩვენგანი ეცდება, თავის საუნჯისა ცოტა რამე გაუზიაროს და მით გააბეღნიეროს.

სილამაზის ფერია.

დიალ! მე უძლვნი მზისა სიტურფეს, ამის თვალებს ავანთებ ცის ლაქვარდის ელვარებით და გარდავაჭცევ მნათობ ვარსკვლავად. ვასხურებ ამის მიმქრალ, მინაზებულ ლოყებს დილის ცის ნამს, შეუმშრალებ ღაწვს დილის მზის სხივებით, ალისფრად დაუფერავ გარულდულ ტუჩებს, ოქროს ფრად დავფერავ მაგის ხუჭუჭ თმას, ერთის სიტყვით, გარდავქმნი მშვენიერ არსებად, რომლის წინაშეც ყოველი მხილველი ქედს მოიდრექს.

სიმდიდრის ფერია.

ჩემო დაიავ, როდესაც მშვენიერ არსებად გარდაჭმნი, მაშინ მე უძლვნი დიდ სიმდიდრეს. გარდავცემ ჩემს გვირგვინს, რომელიც შემუშლია ძვირფას ქვებით და დავადგამ ოქროს ქოჩორზედ, მხრებზედ წამოვასხამ იაგუნდით, ლალით და ოქრომკედით ჩაქსოვილ დიადემას; წელზედ შემოვარტყამ ზურმუხტითა და მარგალიტით მოჭედილ სარტყელს. ეს ჭაბუკი იცხოვრებს ჩვენს ბალში სწორედ მეფურად... მონანი და მხევლნი მის ბრძანებას დაუყოვნებლივ დაემორჩილებიან.

Տոծրմնու ցըրու.

მე ვაპურებ ამის ტვინს სიბრძნის დაუშრეტელ წყაროს
და გაუშუქებ გზას, რომლითაც შეიგნებს, შეითვისებს ბუნე-
ბის დიად საიდუმლოებას, ამნაირად მისწვდება მიუწლომელს
და შეიქნება ბრძენთა უბრძენები.

ხელოვნების ფერია.

ჩემო დებო, როდესაც ეგ განსვენებაში იქნება, დიალ აზ-როვნებისა და ფიქრების შემდეგ, შეუმჩნევლად მივეპარები, საიდუმლოდ მიკერძე ხელში წყრიალა სიმებიან საკრავს, რო-მელზედაც ტკბილად დაჰმღერს გრძნობით სავსე სიმღერებს. მისი ხმა დავრდომილთა და დაჩაგრულთა მიანიჭებს ბედნიე-რებას, სიამაყეს, სიმამაცეს, მით განუმტკიცებს ხასიათს, გაა-კაჯებს და შეამზადებს მტერთან მედგარ ბრძოლისათვის; დაა-ვიწყებს ტანჯვა-ვებას, აღუმაღლებს სულს, განუმტკიცებს ძა-ლას შეუპოვარ ბრძოლად დაჩაგრულთათვის.

სიყვარულის ფერია.

მაშინ დაჩაგრულთ გაულვიძებს გულში მოძმეოა სიყვარულს, ეს სიყვარული გარდაეჭცევა მაჩვენებელ ვარსკვლავად, რომელსაც სწყურიან სიკეთე და მოწყალება დაჩაგრულთათვეის.

სიცოცხლის ფერია.

მშვენიერი იქნება ეგ სიყვარული და დაუშრეტელი მა-
შინ, როდესაც მივანიჭებ უკვდავებას, რომ ამის გულში ღვი-
ოდეს განუქრობელი ცეცხლი მოძმეთა სიყვარულისა, ერთის
სიტყვით, გარდავქმნი უკვდავ არსებად.

სიმშვენიერის ფერია.

მხოლოდ ჩემის დახმარებით შეიქნება მშვენიერთა გუვენიროვა.

სიბრძნის ფერია.

მე მაგას გავხდი ბრძენთა ბრძნალ!

ხელოვნების ფერია.

მე მივანიჭებ უდიდეს ნიჭს მომლერალისა!

სიყვარულის ფერია.

ეგ იქნება მოსიყვარულე გულისა და ამასაც ყველა შე-იყვარებს!

სიცოცხლის ფერია.

ეგ იქნება უკვდავი!

(წუთივე ფერია (გარდა თავისუფლების ფერიასი) ერთ ხმით მღერიან.)

ეგ იქნება უბედნიერესი ბედნიერთა შორის და უკვდავი!

თავისუფლების ფერია.

დებო, მაინც თქვენი ტყვე იქნება, არა?

(ექვსნივე ერთად მღერიან)

ეგ იქნება მდიდარი, ბრძენი, მშვენიერი, მოსიყვარულე, ნიჭიერი და უკვდავი. განა ეს ბედნიერება არ არის? განა ყოველ ადამიანის სურვილი, მისწრაფება, ერთის სიტყვით, ნატ-ვრა ამაზე მეტს ინდომებს?

(სიცოცხლის ფერია მძიმედ ჩამოდის კიბიდვან და რუინს უახლოვ-დება).

ალსდეგ, ჭაბუკო, ნუ გძინავს,

ბედი შენი უკვე გარდასწყდა!

(რუინი გაოცებული იყურება და თვალებს იფშვნეტავს)

რუინი.

სადა ვარ?

(ყველა ფერია ერთად)

ჩვენთანა ხარ, ფერიების სასახლეში! შენ ჩვენი ტყვე ხარ, ჩვენი ტყვე!

რუინი (წამოიჭრება ზეზედ)

როგორ! მე ტყვე ვარ თქვენი?!

სილამაზის ფერია.

მზეზე უბრწყინვალესია!

სიბრძნის ფერია.

ბრძენია სოკრატივით!

სიმდიდრის ფერია.

მდიდარია ვითარუა კრები!

სიცოცხლის ფერია.

ღვთაებასავით უკვდავია!

ხელოვნების ფერია.

მომღერალია და დამკვრელი!

სიყვარულის ფერია.

მისი გული დაუშრეტელი წყაროა მოწყალებისა!

სილამაზის ფერია.

შენ ყველას მიიზიდავ შენის მშვენიერებით!

სიბრძნის ფერია.

და ყველას გააოცებ შენის სიბრძნით!

სიმღიდრის ფერია.

შენ ხელთ იქნება დაულეველი სიმღიდრე!

ხელოვნების ფერია.

შენი ხმა აღტაცებაში მოიყვანს ყველას!

სიყვარულის ფერია.

შენ შეიქნები საყოველთაო საყვარელი და სანუკარი?

სიცოცხლის ფერია.

ბედნიერება შენი დაუსრულებელი იქნება!

რუინი.

ღმერთო ჩემო! ამოდენი ბედნიერება?!

ჟველა ვერია მრთად. (გარდა თავისუფლებისა)

ნუ კი დაგავიწყდება, რომ შენ ჩვენი ტყვე ხარ, ტყვე!

სიმღიდრის ფერია.

გახსოვდეს, რომ მაგ ბედნიერებით შეგიძლიან ისარგებლო მხოლოდ ჩვენ შორის, ჩვენს ბაღში!

სიცოცხლის ფერია.

შენი სამყოფი მხოლოდ ჩვენი საუცხოვო ბალია!

სალაძაზის ფერია.

ამიერიდგან ჩვენს ბაღს გარედ ვერსად წახვალ!

სიბრძნის ფერია.

მხოლოდ ჩვენ შორის იქნები ბედნიერი, მდიდარი, მხიარული; მხოლოდ აქ, ამ სამოთხის ბაღში არ იგრძნობ ტყვეობას!

რუნი (შეზფოთებული)

არა! არა! არ მინდა სიმშვენიერე, არც სიმდიდრე, არც თქვენი სიბრძნე; რას ვაქნევ ტყვეობაში სიყვარულს! გამიშვით, გამათავისუფლეთ!.. ღვთის გულისათვის, გამათავისუფლეთ!

(დაეცემა მუხლზედ და ვეღრებით გაუპყრობს ხელებს)

ვერიაბი (ერთად)

ბავშვია! არ ესმის, არ აფასებს თავის ბეღნიერებას!

რუნი (ხელების მტვრევით განაგრძნობს ხეწნას)

შემიბრალეთ! გამიშვით. დაიბრუნეთ ყოველივე თქვენი საჩუქრი...

მე მსურს ვიყო ხალხში, თავისუფალი! ვიყო გლახაკი, ლარიბი, ლატაკი, მაგრამ თავისუფალი!

(ყველა ფერია ერთად)

უბედური, რა უგუნურია!

თავისუფლების ვერია (რუნის ხელს ადებს მხარზედ და ეუბნება)

ჩემო ვაბუკო მგზავრო! მხოლოდ მე მესმის შენის სულის კვეთება და მე მოგანიჭებ, რაც ასე გენატრება და რასაც ასე ეტრფი! — ამიერიდგან შენ იქნები თავისუფალი. თავისუფლება გეძლევა შენ, ოოგორც უკანასკნელი ჩემი საჩუქარი. ამას კი ნუ დაივიწყებ, რომ დანარჩენი ყველა წაგერომევა: სიმდიდრე, სიბრძნე, სილამაზე, უკვდავება, დაკვრისა და სიმღერის ნიჭი, ერთის სიტყვით, შენ შეიქმნები გლახაკი, მხოლოდ თავისუფალი. რას ირჩევ, იფიქრე, არ არის დაგვიანებული. მიიღებ ჩემ მიერ მოცემულ ბეღნიერებას? შეგიძლიან დააფასო ჩემის საჩუქრის შიშვნელობა?


რუნი.

დიალაც! დიალაც! მომეცით, მომეცით მარტოდენ თავისუფლება! თავისუფლება!

თავისუფლების ვერია (ჩაპყურებს შიგ თვალებში

აღსდეგ! დაეშურე, შენი გზა ხსნილია!

თავისუფლების ვერია (მივა აუნთან, მხარში ხელს ჩაჭიდებს, მეორე ხელს გზისკენ გაიწოდებს და ბრძანების კილოთი უჩვენებს გზას.



ვარდის ბუჩქი გზიდან ჩამოეცლება, მის წინ გალავანი ინგრევა ჰქონდას მის მარცხნივ ლის შეხებით. შორს სივრცეში მოსჩანს მდელო, სახლი ბი, ქალაქი და საყდრები.

თავისუფლების ფერი (ხელით ანიშნებს და ეუბნება)

გასწი!

რუინი აღტაცებით შეპყვირებს, ხელებს ჩაიკრამს გულში, ერთ წამს თავისუფლების ფერიას შეპყურებს თვალებში, ხიშნად მადლობისა, მერე საჩქაროდ წამოიჭრება ფეხზედ, გარბის წინ და ერთ წუთს გაჰქრება.

ფერიები ერთად შეჯგუფდებიან კიბეზედ და გაოცებულნი შესცერიან ერთმანეთს. ისმის საკრავის იდუმალი ხმა, და შადრევანის დუღუნი. მზე ნელა ამოდის,

ეკ. ასათიანი.





გაზაფხული.

აიგრიალა ზეცამა,
მთლიად შეარყია ორეო;
შავი ღრუბელი დაფლითა,
სამსალა ასვა მწარეო!

მზის სხივი გადმოსრიალდა
მარგალიტების მძივადა,
გადაეკონა მიდამოს
დაჰკოცნა ნაზად, ტკბილადა.

ამწვანდა ტყე და მინდორი...
ხე შეიმოსა, შრიალებს;

კლდით გადმომსკდარი მდინარე
ველებს უმღერის—ჩქრიალებს.

ბულბულმა შეიფთხრიალა,
თან გაულიმა სხივსაო,
ქნარი აიღო, მოჰმართა,
ნისკარტი გაჰკრა სიმსაო.

და დაამღერა: „ნუ სწუხარ,
ჩემო სამშობლო მხარეო,—
ზამთრისა სუსხი გაქარწყლდა,
დღე გაუთენდა მწარეო.

ღრუბელს ვეღარ ვჰვრეტო ცაზედა,
გვინათებს ვარსკვლავ-მთვარეო;
დღით კი მზის სხივი გვიცინის,—

ଶେନ୍ତ ଗାୟତ୍ରୀଙ୍କ ଦାର୍ଶନ.

ଶେଖେଲ୍ଲ ଶେନ୍ତିର ମିଳାମଳୀ
ମତଳାଦ ଶେଇମଳୀ ମହାନିତା;
ଦୁର୍ବିଜ୍ଞାନଶି ବାରଦୀ ଗାଢ଼ିଲୀଲା
ତବାଲୀ ଗ୍ରେନ୍ଡର୍ଜ୍ବା ମାଲ୍ବିତା.
ମିଳଦଵରାଦ ବିଜ୍ଞେଦି ଦାର୍ଶନିଆ,
ଦାୟଦିତ ଦ୍ରିଷ୍ଟିଆ, ବାର୍ଜେଦି.

ଶିତବ୍ରଦୀ ଗର୍ଭନଦ୍ଧନ ମହିରାଲିନୀ,—
ଲାଙ୍ଘ ଉଦ୍ଗାତ ଗୋବିନ୍ଦର୍ଜ୍ବା.


ଅକ୍ଷୀଲୀପ ଶେମାଲ୍ଲେବ୍ରାଣ୍ଡା,—
ଗଲ୍ଲେବିସ ମନ୍ଦିର, ପ୍ରସରା,
ଶିଥ ଲାଲିଲା ଦାକ୍ଷିଣ୍ୟିବିଶ, ଗୁର୍ବମାନିବିଶ
କୁକୁର୍ବିକ୍ରେଦି ତ୍ର୍ୟଦିଲାଦ, ନେଲା.


ଗଲ୍ଲେବି ଉବାରିଆ, ମନ୍ଦିରବାଲୀ
ମନ୍ଦିରିଶ ଶାଶ୍ଵତବିଦିତା,
ମାର୍ଗବିଦାଶ ଶିତରାଙ୍ଗୀ ଗାନ୍ଧିବିଦାଶ
ଦା ନୀବିନୀବିଦି କ୍ରେବିଦିତା.

ମାତ୍ର, ଶେନ୍ତ ଗାମନ୍ଦ୍ରେବିଦି, ନ୍ଯୂ ବିର୍ଜିନ୍ହାର,
ହିମିତୀ ଶାମିଲିମିଲି ମହାର୍ଜନ,—
କ୍ରେତିଲମା ଦେବିବିଶ ଏଜିବା,
ଲାଙ୍ଘ ଦାଦାପ୍ରେନା ମହାର୍ଜନ!“

ତ୍ର୍ୟଦିଲାଦ ଦାମଲ୍ଲେରା ଯେ କମ୍ବେଦି
ଦୁଲଦୁଲମା, ବାରଦୀଶ ମନିମା,
ଦା ଆର୍ଜ-ମାର୍ଜ ମୁମ୍ଭନ୍ଦେଲିତା
ଶିବିଶ ପ୍ରମେଲିତ ମନିମା!

ଶ. ପ୍ରମାଣିତିଶ୍ଵିଲି.





დილა.


გარიერაუზე წამოვიჭრათ
და გავიდეთ მინდორ-ველად:
გადავხედოთ ცისა კიდეს,
ციაგს, მორთულს ოქროს ფერად...

ეს ღრუბლების სიცილია:
ცა მზეს ელის, — უხარიან;
მთებიც მზისა დასახვედრად
მოწიწებით თავსა ჰქრიან...

დღის სინათლე დაიბადა—
ლამე ბნელი ჰქრება, კვდება;
ძილი მიჰქრის და სიცოცხლე
საქორწილოდ ემზადება.

ბაბილონა.





ქართული მდიდარი და დალაქი.



(ი ბ ა ვ ი).

ყო ერთი მდიდარი კაცი. მდიდარს ყელ-ში დიდი მუწუკი გაუჩნდა და იღრჩობო-და. ყველას ცოდვით ავსებდა, ეხვეწებო-და: „თქვენი ჭირიმე, შემიბრალეთ, მიშველეთ, ექიმი მომვა-რეთ, სიკვდილს გადამარჩინეთო!“

იმ ქვეყანაში მკურნალი არ იყო და დალაქი მკურნა-ლობდა. მოუყვანეს ავადმყოფს დალაქი.

— დალაქი, ოლონდ სიკვდილს გადამარჩინე, მთელს ჩემს საცხოვრებელს შენ დაგილოცავ და, თუნდა, ყმადაც დაგისახლდებით, — ემუდარებოდა მდიდარი.

დალაქმა ყელი გაუშინჯა, ნეშტრით მუწუკი გამოურწყო და მძიმე ავადმყოფი უცებ ფეხზედ წამოაყენა.

— დანაპირებაზედ რას ჰგრძნებ? — ჰკითხა დალაქმა მდი-დარს.

— რა უნდა ვსოქვა?! მთელი ჩემი ქონება რომ შენ და-გითმო, მე რითლა ვიცხოვროვო, — მიუგო მდიდარმა.

— ნახევარზედაც თანახმა ვარ, — უთხრა დალაქმა.

— ვერც ნახევარს ვავიმეტებ.

— ნაათალსაც დაგჯერდები.

— ნაათალიც ძალიან ბევრია.

— ნაათალი-კი არა, იქნება, ნაასალიც ბევრზედ ბევრი იყოს, — წყენით უთხრა დალაქმა, — მე ერთ მანათსაც დაგჯერ-დები, მაგრამ კარგი არ არის, რომ შენს სიტყვას გადასდიხარ.



— სიტყვაში რა ყრია, ყველა სიტყვა ხომ დასაჯერებელია
ლი არ არის,— მიუგო მდიდარმა.

გავიდა ღრო. მდიდარი ხელშეორედ შეიქმნა უარესი
ავადმყოფი. გაუგზავნა იმავე დალაქს კაცი და დააბარა:

— ოლონდ მოდი, მომარჩინე და სიტყვას გაძლევ, რასა-
ცა მთხოვ, მომცემი ვარ.

— სიტყვაში რა ყრია, ყველა სიტყვა ხომ დასაჯერებე-
ლი არ არის,— შეუთვალი დალაქმა და არ წავიდა ივალ-
მყოფთან.

დარჩა მდიდარი უექიმოდ; სენმა მალე ხელი დაპრია და
ორ დღეზედ წუთისოფელს გამოასალმა.


ალ. მირიანაშვილი.





მიწის ძვრა თურქესტანში 1910 წ.

(თარგმანი).



ურქესტანში საშინელი უბედურობა დატ-
რიალდა. საშინლად ინძრა მიწა. ეს მი-
წის ძვრა თვისის ძლიერებით ყველა წი-
ნად მომხდარ მიწის ძვრას აღემატებოდა;

მიწის ძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ შენძრევის უმაღ-
სეისმოგრაფის ენა დაიმსხვრა. სეისმოგრაფს ხმარობენ მიწის
ძვრის ძალის საზომად. სეისმოგრაფს აქვს საწერი ნემსი, რო-
მელიც ქვეიდან დაყოლებულ მოძრავ ქალალდზე, დახრახნილ
ხაზით, ყოველსავე უმნიშვნელო მიწის ძვრას აღნიშნავს ხოლ-
მე. ამ ხაზის მიხედვით იგებენ მიწის ძვრის სიძლიერეს. სეის-
მოგრაფს შეუძლიან აღნიშნოს რამდენისამე ათასის ვერსის
მანძილზე მომხდარი მიწის ძვრა. — ამ შემთხვევაში კი ნემსმა
ვერ შესძლო თავის დანიშნულების შესრულება, რადგანაც,
საზოგადოდ ქალალდის სიგანე ნახევარ არ შინაზე მეტი არ
არის ხოლმე, და თურქესტანის მიწის ძვრის დროს კი სეის-
მოგრაფის ნემსის ნახტომები ორ საუნამდე ადიოდა. ამ გვარი
მიწის ძვრა რომ იქ მომხდარიყო, სადაც რიცხვ-მრავალი
მცხოვრებია, რა თქმა უნდა, დაღუპულ ხალხის რაოდენობაც
ურიცხვი იქნებოდა, და რაკი თურქესტანში ცოტა მცხოვრე-
ბია, შენობებიც უფრო დაბალი, ამიტომ ამისთანა საშინელმა
მიწის ძვრამ შედარებით ცოტა ხალხი იმსხვერპლა — 350
კაცამდე.

მიწის ძვრის ცენტრად, ე. ი. იმ ადგილად, სადაც მო
მეტებულის ძალით შეინძრა მიწა, ვერნი ითვლება, რომელიც
ისიკ-კულოს ტბის მახლობლად მდებარეობს.



— 22 ქრისტიან. დილის 4 საათზე ქ. ვერნის მცხოვრებ
ნი საშინელმა მიწის ძვრამ და უცნაურმა გუგუნმა დააღვიძა.
სთახში ყოველისფერი ცვიოდა, კედლები სკედებოდა, ბალდა-
დი და ტკეჩი ინგრეოდა. ნამდინარევი, ტანთ-ჩაუცმელი ხალხი
ქუჩაში გამორბოდა. საშინელი ყინვა იყო, მაგრამ ეს ყინვა
ალარაფრად მიაჩნდათ შეშინებულ მცხოვრებლებთ; სახლში
შესვლას ვერვინ ჰქედავდა. თითქმის ყველა ქვითკირის და ალი-
ზის შენობა ძირიანად დაინგრა, ზოგმა შენობამ დაიწია, ზო-
გი დასკდა. ხის შენობა კი უფრო ნაკლებად დაშავდა.
კიდევ კარგა ხანს გასტანა მიწის ძვრამ. მხოლოდ ხან ნაკლე-
ბად ინძრეოდა და ხან უფრო უმატებდა. ასე რომ, შეშინებუ-
ლი ხალხი შინ ველარ დგებოდა და, მიწის ოდნავ შენძრევის
უმალვე, გარედ გამორბოდა. ყველა სახლში ფანჯრები დამს-
ხვრეულიყო, ღუმელები გაფუჭებულიყო. იმათ მდგომარეობას
ველარ აგიწერთ, ვისაც სახლი დაენგრათ და ღვთის-ანაბარად
დარჩენ. ყოველივე სანოვაგე გაძვირდა და ახლა აღვილად
წარმოიდგენთ, რა გაჭირვებაში ჩაცვივოდა ხელ-მოკლე და და-
ღატაკებული ხალხი. — ქ. ვერნის გარდა, ბევრი სხვა პატარა ქა-
ლაქი დაშავდა. გზების და ტელეგრაფის გაფუჭების გამო, ქა-
ლაქებიდან არავითარი ცნობა არ მოღიოდა. ქ. პრევალსკის
ბელილბალი მეტად აფიქრიანებდა ყველას, რადგანაც ეს ქა-
ლაქი იქვე ტბის ნაპირას მდებარეობს. ყველას ეგონა, პრევ-
ვალსკი გაჰქირდა, ტბამ ჩანთქო. შემდეგ, რის ვი ვაგლახით
გაგზავნილმა კაცებმა ამბავი მოიტანეს, რომ თვით ქალაქი შე-
დარებით ცოტათი დაზიანებულიყო, ხოლო გზები საშინად
გაფუჭებულიყო. ცალკე კლდის ნანგრევებით, ცალკე მთები-
დან მოწოდილ თოვლით გზები შეკრულიყო. ტელეგრაფის
ბოძები 100 საჟენზე გადასცილებოდა გზებს. სხვათა შორის
დაშავდა ქ. პიშვეკი, ჯარკენტი, ტოკმაკი და მომეტებულად
ის ქალაქები, რომლებიც ტბის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე-
ობდნენ. მთებშიაც მრავალი ხალხი და საქონელი დაღუპა.
ბევრი ზვავმა დაიტანა და სხვ... ამიტომ ძალიან ძნელია და-
ლუპულთა რიცხვის გამოანგარიშება. ბევრი ალაგი ისე გამო-



იცვალა, რომ იმის ცნობა შეუძლებელია. ზოგ კლდის ნაკრება წელი 10 არშ. სიგანეს აღემატება. ზოგან ხევი ჩაწერა, ჩაინგრა, ზოგან სულ უცნობი ხევი გამოჩნდა. მთის მდინარეები აღიღდა და წალეკა მინდვრები. მიწის ვეებერთელა ნაჭრები ხეებით, შენობებით გადატანილ იქმნა თავის ადგილიდან სულ სხვა ალაგას. — არა ერთხელ სწვევია თურქესტანს ამგვარი უბედურება. რამდენიმე მიწის ძვრა ქ. ვერნისაც გამოუცდია. უკანასკნელი მიწა იძრა 1887 წ. მაშინვე შიშობდნენ ხელ მეორედ ქალაქის გაშენებას, მაგრამ არ დაიშალეს, გააშენეს, და მაინც არ ასცდათ ეს საზარელი უბედურობა.

თითქმის ყოველთვის თურქესტანის მიწის ძვრას ტეპტონიური ხასიათი ჰქონდა. დედამიწის კანი ყოველთვის მოძრაობს და ამიტომ მუდმივ ცვლილებაშია. ზოგან მიწა იტკენება, ზოგან ბურცდება. ხანდისხან დიდრონ ნაჭრებით იკეცება, ერთი მეორეს აწვება, გროვდება, ზღვავდება და ამ გვარად ახალ-ახალი მაღლობები ჩნდება.

საზოგადოდ ეს ცვლილება ჩვენდა შეუმჩნევლად ხდება: ნელა, დინჯად, თან და თანობით, ასე რომ ხალხი მხოლოდ ასისა და ათასის წლის შემდეგ ამჩნევს მიწის ნამუშავარს: ზღვის ძირი მაღლა ამოდის, იმ ალაგას ახალი კუნძული ჩნდება; მშრალი ალაგი დაბლა იწევს. შიგ წყალი გუბდება, დიდდება და ზღვად იქცევა. — ხან კი მიწის კანის ცვლილება უცრად ხდება. უცრად მიწა ბურცდება, იკეცება, სკედება და ამის გამო ინძრევა, ბობოქრობს, ხან ზევით ადის, ხან დაბლა ჩადის, ამასობაში ნახეთქი ემატება. აი, ამ გვარ მოძრაობას ტეპტონიური მიწის ძვრა ეწოდება. უკანასკნელი მიწის ძვრა თურქესტანში სწორედ ამ ნაკეცების გამო მოჰქმდა, ტიან-შანის მთის ქედში. თურქესტანის მიწის ძვრა ჯერაც არ შეჩერებულა. დღესასწაულები მცხოვრებლებმა სულ შიშში გაატარეს. პატარა ხნით კი თითქმის შეჩერდა, მაგრამ ხანდახან გაზიერებს კიდევ მოაქვთ მიწის ძვრის ამბები. გაუბედურებული და დაღატაკებული ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის.

ა. ქალატოზიშვილი.



თეთრი სამოსელი.

(ზღვაშარი)



ყო ერთი მდიდარი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს მეფეს სახელად ეწოდებოდა „მტერთა მძღველი“. რადგან არავის არ შეეძლო მისი წინააღმდეგობა, კველის სძლეველი, იმონებდა. ბევრი ძვირფასი მარმარილოს სახლეები ჰქონდა, ურიცხვი ძვირფასი ბალები, უთვალავი ოქრო და ვერცხლი, მაგრამ ყველა ეს ეცოტავებოდა. გზავნიდა აღმოსავლეთ, დასავლეთ, ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ ჯარს და იმორჩილებდა ყველას.

როდესაც ძლევა-მოსილი ჯარი ბრუნდებოდა უკან ძვირფას ნადავლით, მეფე საუკეთესო ნივთებს ირჩევდა; ხალიჩებს, ძვირფას ქურქებს წივისას და კვერნისას, ბრილიანტებს, გვირგვინებს, ალმასის ყელსაბმელებს, ყოველ ამას აირჩევდა და მიართმევდა ხოლმე თავის ერთად ერთ საყარელ ქალს, რომელსაც სახელად „მწუხარება“ ერქვა. ეს სახელი იმისთვის უშოდეს, რომ მშვენიერს სახეზედ არასოდეს ლიმილი არ მოუწოდეს, რომ მუდამ მოწყენილი იყო; არ ახარებდა ძვირფასი საჩიოდა, მუდამ მოწყენილი იყო; არ ახარებდა ძვირფასი საჩქრები მამისა; ყველა სამკაულს ჩაჰყრიდა ყუთში და უცქე-

როდა ისე, როგორც უბრალო შუშის ნამტვრევებს; მეტი მნიშვნელობა მის თვალში არ ჰქონდა; არასოდეს არ შეჰქონდა უცხო ძვირფასს ხილს, არასოდეს არ იმკობდა მშვენიერ თავს ყვავილებით.

— რითო ხარ აგად, ჩემო საყვარელო შვილო, ან რა გაყლია, მითხარი? — ხშირად ეკითხებოდა მამა.

— მოწყენილი ვარ, მამილო! — მიუგებდა შვილი.

— როგორ უნდა მოვიქცე, რომ გაგამხიარულო, ერთხელ მაინც გაიღიმო, შვილო?

— მაჩვენე ისეთი რამ, რაც არ მინახავს და არ მომბეჭრებია, რაც ახალია ჩემთვის: — მიუგო ქალმა.

მეფემ მოიწვია მთელის სახელმწიფოს საუკეთესო მხატვრები, მომლერალნი, მემუსიკენი, თვალობმაქცნი შვილის გასართობად.

მხატვრები სდგამდნენ ერთი მეორეზე უკეთესს ცოცხალ სურათებს მეფის ასულისთვის, მაგრამ არც ერთი არ იპყრობდა ლამაზის ყურადღებას: მალე აშორებდა თვალს სურათებს და თან ამბობდა: „ყოველივე ეგ უკვე მინახავს, ყველაფერმა მომაბეჭრა თავით“.

თვალობმაქცები ჰყობაპავლენენ შუბებს, ნაკვერჩხლებს, გველებივით იყლაკნებოდნენ, ჩიტებივით გადაფრინდებოდნენ ხილმე ერთის სასახლის სახურავიდგან მეორეზედ, მაგრამ არც ეს ართობდა ქალს და უკმაყოფილოდ ამბობდა: „მოსაწყენია ყოველივე!“.

მემუსიკენი და მომლერალნი სცდილობდნენ მუსიკა-სიმღერით გაერთოთ მეფის ასული; როცა მუსიკა უკრავდა რაიმე სამწუხაროს, ქალი მდუღარე ცრემლით სტიროდა, სტიროდა სანამ მუსიკა არ გაჩერდებოდა. როცა რაიმე სამხიარულოს უკრავდნენ ან მღეროდნენ, ქალი სტოვებდა გასართობ ადგილს, გადიოდა თავის საწოლ ოთახში, ჩაწვებოდა ლოგინში და თავზე ბალიშებს დაიყრიდა, რომ არ გაეგონა სამხიარულო ჰანგები.

— არ მინდა მოვისმინო, უბრძანეთ, გაჩუმდნენ. ასე გადიოდა დღეები. დაღონდა მეფე, აღარ იცოდა, რო-
თი გაერთო საყვარელი ქალი.

ახლა ომს მიჰყო ხელი. ყველა მეზობელი სახელმწიფო—
ბი დამონებული ჰყავდა, მხოლოდ სამი სამეფო დარჩა დასა-
მორჩილებელი:

აღმოსავლეთად—სამეფო ძლიერებისა, დასავლეთად—ცე-
რებისა, სამხრეთად — სამეფო მართალთა.

ძლიერების სამეფოში იყო ისეთი უზარმაზარი ; ციხეები,
რომ ზედ მუდამ ღრუბლები დაცურავდნენ, სცხოვრობდა ისე-
თი უზარმაზარი და ღონიერი ხალხი, რომ ერთს კაცს შეე-
ლო თავის. შებით აეტაცა ჰაერში ხუთი ჩვეულებრივი ადა-
მიანი. ეს ხალხი რეინით იყო შემოსილი, ასე რომ მახვილი-
თა და ტყვიით მათი დაძლევა შეუძლებელი იყო. თითოეული
კაცი საუზმედ ერთ ცხვარსა სკამდა, სადილად-კი—ხარს, ღვი-
ნოს და წყალს ჩაფებითა სვამლნენ და ჭიქები ხმარებაში არ
იყო. ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდათ, საემარისი იყო, ას
კაცს ერთად დაეყვირა, რომ მათის მტრის აგურის ციხე-დარბა-
ზები ბანქოს ხუსულებივით მიწასთან გასწორებულიყო. არავინ
იმათ არ ეომებოდა, ყველას ეშინოდა მიახლოვება ამ სამე-
ფოსთან.

მტერთა მძლეველმა მეფემ განიზრახა ამ ხალხის დამონება.

მეფეს ჰყავდა ერთი ბრძენი მოხუცი, რომლის რჩევა-და-
რიგებას ისმენდა ხშირად ძლიერი მეფე: მოხუცი მივიღა მეფეს-
თან და უთხრა:

მეფევ, ნუ ინებებ მაგ საქმეს, მოიშორე ეგ აზრი თავიდ-
განაო.—მეფემ ახლა არ დაუჯერა თავის მრჩეველს და გაგ-
ზავნა ჯარი ძილერთა წინააღმდეგ.

ი, ციხე ძრიელთა, მაღალი, ამართულა როგორც მთა,
ზედ ვით არწივნი გადმომდგარან მეომარნი, ქვევით კი ჭიან-
ჭველას ავით ფუსფუსობს ჯარი მძლეველთა მეფისა.

ისერიან ესენი თოფებს ქვევიდგან ზევით, მაგრამ არც
ერთი ტყვია შეუა ციხემდისაც არ ადის, იქიდგან კი კაცის



ოოლა ქვები სეტყვასავით სცვივა ქვევით და სწყვეტაშუაზრდა
ვერც ერთი კაცი ვეღარ დაბრუნდა შინ ცოცხალი.

გონიერმა მოხუცმა უთხრა მეფეს:

— ამნაირად ამოსწყვეტ მთელს შენს ხალხს და იმათ-კი
ერთ გოჯ მიწას ვერ წაართმევო; საჭიროა სხვანაირად მოიქ-
ცე. მისწერე მათ მეფეს, რომ მშვიდობიანობა გსურს; როცა
დასთანხმდეს, მოიწვიე მათი დიდკაცობა სანადიმოდ, დაუმ-
ზადე სულ სხვა და სხვა უცხო სასმელ-საჭმელები, სახელმწი-
ფოს ლამაზ მანდილოსნებს უბრძანე ემსახურონ სტუმრებს,
გააკვირვე შენის სიმდიდრით და სიუხვით; თუმცა ძლიერნი
არიან, მაგრამ ოქრო-ვერცხლი თვალითაც არ უნახავთ, არც
უცხო საჭმელები, გარდა ცხვარისადა ხარისა.

დასთანხმდა მეფე. დადგეს მაგიდები, დაპფინეს ოქროსა და
ვერცხლის ლანგრები, საუკეთესო ღვინოებით ავსეს ბროლის
ჭურჭლები, ისეთები, რომ სიღიღით კასრებს უდრიდნენ, ლან-
გრებზე დააწყეს მთელ-მთელი შემწვარი გარეული ღორი, ირე-
მი, ინდოური, თხა და სხვა... უშვენიერებსნი მანდილოსანნი,
ოქროთი და ძვირფას სამკაულით შემკულნი, ძვირფას ხავერდ-
სა და ფარჩაში გამოწყობილნი, ემსახურებოდნენ სტუმრებს,
ძვირფას სინებით მიართმევდნენ ხილს.

მოხუცი კი დადიოდა და სთავაზობდა ყველას. მივიდა
ერთთან, პხედავს—მესამე ინდაურს ათავებს.

— მოგწონს, გეტყობა, ჩვენი საჭმელი? — ჰკითხა მოხუცმა.

— საუცხოვო ფრინველია, — მიუგო სტუმარმა: — ყველა-
ფერს მივსცემდი, ოღონდ ყოველ დღე ასე ვსაღილობდე.

— ეგ ადვილია, — მიუგო მოხუცმა, — გადმოსახლდი ჩვენს
სახელმწიფოში, მეფე ყოველ დღე ათ-ათ ინდაურს გაგიჩნის,
ხავერდის ტანისამოსსაც შეგიკერავს. აბა, რა ცხოვრებაა თქვე-
ნი ცხოვრება. როგორც ზანდუკები, ისე ხართ შეჭედილი რკი-
ნით, უცხო საჭმელი ხომ არ გლირსებიათ; რისთვის ემსახურე-
ბით თქვენს მეფეს?

დაფიქრდა სტუმარი და შემდეგ სთქვა:



— ეს, მე კი გადმოვიდოდი ოქვენსკენ, მაგრამ ჩემი არა მაგებისა მერიდება.

— ამხანა გებისათვის ნუ სწუხარ, — უთხრა მოხუცმა და გაშორდა.

ჩაიარა მოხუცმა და ჰედავს ერთი სტუმარი, როგორც ჭარხალი, ისე გაწითლებულა, ღვინოს კი ვერ სცილდება; მივიღა მასთანა და უთხრა.

— მოგწონს ღვინო?

სტუმარი, პასუხის მაგივრად, ტუჩებს აცმაცურებს, თავს აქვევს, ლაპარაკი აღარ შეუძლიან.

— ჩენს მეფეს სავსე აქვს მარნები ამ გვარ ღვინოებით. ერთი სიტყვა ჩაუჩურჩულე შენს მეფეს, რომ ჩვენ დაგვმორჩილდეს და მთელ ერთ სავსე მარანს შენ გიწყალობებს.

სტუმარმა თანხმობა აღუთქვა. მესამე სტუმარი ილაგებდა ჯიბეში ფორთოხლებს, მსხლებს, ატმებს. როცა მოხუცი მივიღა მასთან, სტუმარმა უთხრა:

— მიმაქვს ჩემს შვილებთან ძვირფასი ძლვენი; იმათ ამგვარი არა უნახავთ რა.

— ი, ბატონო, გადმოსახლდი ჩენსკენ და ჩვენი მეფე მთელ ხეხილის ბაღს და ძვირფას სასახლეს გითავაზებს.

— არ შემიძლია; ღალატისათვის მეფე დამსჯის სიკვდილით.

— თქვენ და თქვენს ამხანა გებს შეგიძლიათ შეთანხმდეთ, მოელაპარაკოთ მეფეს, შეაგონოთ — დაგვმორჩილდეს და მერმე, სადაც გინდათ, იქ იცხოვრებთ.

ჩაფიქრდა სტუმარი. მოხუცი მოშორდა.

გაიარა მოხუცმა და ესმის — ერთი სტუმარი მოსჯდომია გვერდით ერთს მშვენიერ მანდილოსანს და სთხოვს. ცოლად წაჰყვეს. მივიღა მათთან მოხუცი და ეუბნება:

— ჩვენი მეფე ნებას არ მისცემს, ჩვენი ქალი გარეშე კაცს მისთხოვდეს; თუ ჩვენ დაგვმორჩილდებით, შემდეგ შეიძლება.


იტა.

(დასასრული იქნება)



თ. ვახტანგ ვახტანგის ძე ორბე-
ლიანი.

(1812—1890) *)



ავადი ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 5 აპრილს 1812 წ. დაბადების პირველს წელსავე დაობლდა და დარჩა დედის მზრუნველობის ანა-
ბარად. სახელოვანი მისი დედა,

თეკლე ბატონიშვილი, ირაკლი II მეფის უმცროსი ასული იყო. ცამეტ წლამდის ვახტანგი იზდებოდა დედის ხელმძღვა-
ნელობით. 1825 წ. კი გაისტუმრეს პეტერბურგს პავთა კორპუსში სასწავლებლად. ჩრდილოეთის ცივი ჰავა ვერ აიტა-
ნა და ამიტომ ხუთის წლის შემდეგ დედამ შვილი საქართვე-
ლოში წამოიყვანა. თუმცა სწავლა ვერ დაამთავრა, მაინც
18 წლის ვახტანგს მისცეს პირველი სამოქალაქო ჩინი. 1830—1832 წ. გაატარა ოჯახში და გართული იყო მხიარუ-
ლებასა და წიგნის კითხვაში. ლექსში „დელს მეგობარს“ (დ.
ყიფიანს) გვაგებინებს, რომ ამ დროს ყმაწვილი კაცი გაიტაცა
გეტესა, შექსპირისა და შილლერის ნაწერებმა. 1833 წ.,
როგორც შეთქმულების წევრი, კალუგაში იქმნა გაგზავნილი.
ოთხი წელიწადი დაპყო სამშობლოს გარეშე და 1837 წ.

*) ლექსები ვახტანგ ორბელიანისა. სრული გამოცემა 1894 წ.
ლექსებს წინ უძღვის ბიოგრაფია, დაწერილი ილია ჭავჭავაძის მიერ.
„კრიტიკული წერილი“ კ. აბაშიძისა „მოამბეში“ 1900 წ. № 7.

დააბრუნეს უკან. საქართველოში დაიწყო სამსახური დამზადების წლამდის მონაწილეობა მიიღო ომებსა და ლაშქრობაში. გენერალ-ლეიტინინანტის ჩინამდის მიაღწია. სხვა და სხვა დროს ასრულებდა თერგის მაზრის უფროსობას; იმსახურა გლეხთა საკრებულოს წევრად და უკანასკნელად ასრულებდა მომრიგებელ შუა-კაცის თანამდებობას. გარდაიცვალა ტფილისში 29 სეკდ. 1890 წ.

თავ. ვახტანგ ორბელიანი, — ამბობს მისი ბიოგრაფი ილია ჭავჭავაძე, — დაიბადა და გაიზარდა იმისთანა დროს, როცა ჯერ კიდევ ცხოვრებას ეჩმნეოდა წყლულნი და დაკოდილებანი მე-თვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტე საუკუნის ქარს ვერ გაე-ფანტა მათ მიერ მოვლენილი ნაღველი, მწუხარება და სასო-წარკვეთილება. ჯერ კიდევ თითო-ოროლა ოჯახში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა, რომელმაც სული დალია 1795 წ. 11 სეკდემბერს სოღანლულს, კრწანისის ბაღებთან და წამების სახელოვანი გვირგვინი დაადგა იქ ქვეყნისათვის თავგანწირულ მამულიშვილებს. ჯერ კიდევ აქა-იქა ანათებდა დიდებულ მფისი ირაკლის შუქი, რომლის... „დღენი ემსგავს-ნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს... დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“. ამ ჩასვენებულ მზის და დიდების ჭირისუფა-ლი სხვათა შორის ვახტანგ ორბელიანის ოჯახშიც იყო — დედა მისი თეკლე ბატონიშვილი, საყვარელი ასული ირაკლისა. თეკლე ბატონაშვილი ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა ქართულ მწერლობისა და საღმრთო წერილისა: იგი იყო შესანიშნავის ჭკუისა, სათნოებისა და გამჭრიახობის ადამიანი. ვახტანგ, დე-დის გავლენით აღზღიული, გულწრფელი მოტრფიალე იყო სამშობლო ქვეყნისა და ამასთანავე გულმწუხარე მგოდებელი მის წარსულ დიდებისა, გულ-აყრილი აწყურზე. დედისაგან ბევ-რი სანაღვლელი და სანატრელი მოგონება ექნებოდა შთანერ-გილი, მისგან შეითვისებდა წარსულისადმი ღრმა სიყვარულს და პატივისკვეთას. თვით ამბობს:

„სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩის მომითხოვბდა.“

ივერიის ძე ალიზარდა ნანგრევთა შორის, უნათებდა წყვდიალს გზაში ერთი ლამპარი, რომელიც „აღგზნო დიდმა შოთამ“ (ლექსი ნანგრევთა შუა). სიყვარული და ნაღველი წარსულთა დროთა მიმართ შეიქმნა დედა ძარღვად ვ. ორბელიანის პოეზიისა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედში მოძრაობამ შექმნა ბრწყინვალე ჯგუფი გონება-განვითარებულ ახალგაზდებისა რომელთა შორისაც იყვნენ: გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორნი გიორგი და ზაქ. ერისთავნი, იოს. და კონსტ. მამაცაშვილები. ამთ შორის ტრიალებდა ვახტანგ ორბელიანიც. ამ წრეში საუკეთესო დროს გასატარებლად მიაჩნდათ საუბარი წარსულის შესახებ, როგორც ჰმოწმობს პოეტი:

„კული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული
სამშობლო ისტორიისა გადაეხსნათ დიდი რვეული.“

წარსული ამბები პატარაობიდანვე შეიყვარა, იმიტომ რომ „იქ ბრწყინავენ დიდნი გმირნი, დიდნი მამულისშვილნი, დიდის ანდერძებით და სურვილებით გულტკივნებულნი“, იქა მარხია სახელოვანი მისი პაპა მეფე ირაკლი *) და მასთან ქვეყნის დიდებაც.

დღვევანდელ ნანგრევთა შორისაც კი ანათებს ძველთა მამულისშვილთა დიდბუნებოვანობის ლამპარი:

„და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება,

და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვლავად აღგება,

და თუ აქამდის არ დავკარგეთ სითბო გულისა,

იგი მადლია იმ ნათლისა წმინდის ლამპრისა.“

ვ. ორბელიანი გლოვობს „ჩასვენებულ მზისთვის“ და მისი ხსენებაც კი ავსებს პოეტის არსებას გამოუთქმელ ტანჯვით.

*) მის ხსენებას უძღვნა ლექსი „ირაკლი და კონტა ბელადი“ (ნამდვილი ისტორიული ფაქტი) და „ირაკლი და მისი დრო“. ამ უკანასკნელში ამბობს: „ჩვენს მიწა-მამულს, მტრისგან წამებულს, ცამ მოუვლინა მეფე ირაკლი! მამულისათვის ძრწის, დღე და ღამ იბრძვის, იცის, რაცა სძევს მამულის ვალი“.

სდგას „ძველი დმანისის“ ნანგრევთა წინაშე თავმოხრილობ, ფიქრით მოცული და, მწუხარებით დამწვარი, სწყრება წარსულის მოვონებით: „რისთვის და რად მინდა მის მოგონება, რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება, რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვენებს და სულსა სტანჯავს, რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს. განკქრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულსა, ჩემს სატანჯავად, რომ არ იდგე ჩემს თვალთა წინა!“ წარსულის დიდების სანაცვლოდ წარმომდგარა ახალი შენობა, რომლის „კირსა და ქვას, ვით სუსტს ასულს, არც ძალი და არც ღონე აქვსო“. ამიტომ გულამოსკვნით ამბობს: „ მაგრამ რად გვინდა მის ამბავი, რაც არს აღარა, რაც თვალთ წინა გვაქვს გულსაკლავად, ისიცა ქმარა.“ გრძნობიერმა სიყვარულმა ოდესლაც დიდებით ალყვავებულს სამშობლოსადმი ვ. ორბელიანის პოეზიის შეაქსოვა გულსაკლავი, მაგრამ წრფელი გოდება. იგი გამოწვეულია საქართველოს წარსულ დიდების მოგონებით და მის გადავლილ ჭირის და ვაგლახის გათვალისწინებით. „ჩვენი ივერი,—ამბობს იგი „იმედში“—მშვენიერი არს სისხლის კალო, გმირთა აკლდამა, გულთსაკლავი და სავალალო“. იმედის დაკარგვამ სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა და სიმწარით ათქმევინა: „გონება პელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა, სარწმუნოებას გულის ჭმუნვას ძალა ერევა!“ „თუ ქვეყანაზედ ღმერთიაო, მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?“ ეს ღვთის გმობა წარმოათქმევინა მამულის სიყვარულმა ღვთის მოსავს პოეტს და სინანულით ათხოვნინებს მოტევებას:

„ღმერთო კეთილო, მომიტევე შენ დაბადებულს,

ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს.“

გულს ცეცხლი ეკიდება, როცა პხედავს დანგრეულს საქართველოს და იტანჯება ფიქრით, რომ იქნება „თვით ნანგრევნიც განკქრნენ და მათი სახელი, მათი ხსენება აღარსად დარჩნენ“. მშვიდი ასული, მოვლენილი პოეტისადმი, ამშვიდებს მის გულში შებრძოლებულს მამულის სიყვარულსა და

სარწმუნოებას. „მაშინ მომიახლოვდა ოურფა, მშვიდი ასული; გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უძგერდა გული. გწიმდესო, ღვაწლი მამა-პაპათ არ განპქრებიან: მართლმადიდებელთ ჰეშმარიტი ღმერთი ძლიერი მოგფენსთ თვისს სხივს, თვისს სიუხვეს და თქვენი ერი, ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება; თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება“... ამ იმედით განვიდა ამიერ სოფლით და დაგვიტვა მესსიანიზმის *) საუკეთესო ნაშოთი. ვ. ორბელიანი გახდა ჩვენში წარმომადგენელი იმ მისტიკურ მოძღვრებისა, რომლის დედა აზრია, რომ განგება ქვეყნად დროგამოშვებით ჰეზავნის ზეშთაგონებულს მომაკვდავს თავის წინაგანზრახულთა აღსასრულებლად. 18¹⁰ წ. დაახლოებით პოლონეთის მწერალმა ახალგაზდა მღვდელმა ვორონიქიმა **) შექმნა მგზავის მისტიკური მოძღვრება. თავის ლექსებში გამოსთქვა რწმენა, რომ ღმერთი აღადგენს პოლონეთსაო. ამგვარივე რწმენა, რომ უფალი მოპხედავს ქვეყანას და განახლებს მის ნანგრევებს, უღვივოდა ვახტანგ ორბელიანსაც. საინტერესოა ლიტერატურის ისტორიისათვის, რომ პოლონელი მწერალი ვორონიქი, გულდათუთქული თავის ქვეყნის დაცემით და აღტაცებული მის მომავალ აღყვავების ოცნებით, იმავე ფარგალთა შორის აწარმოვებს თავის აღმაფრენას, რომელიც შეადგენს ჩვეულებრივ სქემას ქართველთ მხცოვან მგოსნისას. ამისი ლექსები:

„ორი შენობა“, „ჯვარი ვაზისა“, „იმედი“ განმსჭვალულია მესსიანიზმით, მისტიკურ რწმენით, რომ დანგრეული სამშობლო კვლავ აღყვავდება. ვ. ორბელიანის მესსიანიზმი მით უფრო საყურადღებოა, რომ მან განიცადა ოცნების ამაოება 1832 წ., როდესაც ქართველთა შეთქმულებამ მამულის პოლი-

*) მესსიანიზმი—ამა თუ იმ ერის რწმენა, რომ იგია ერი რჩეული და კაცობრიობის უმაღლესის დანიშნულების აღმსრულებელად მოწოდებული.

**) ნახე ჩემი წერილი „განათლებაში“ (1910, № 2) „მესსიანიზმი პოლონერსა და ქართულს მწერლობაში“.

ტიკურად გათავისუფლებისათვის უნაყოფოდ ჩაიარა და მოეტი საიდუმლო საზოგადოების „ჭიბუკი“ წევრი დაისაჯა და სამშობლოდან განიდევნა. ამ შემთხვევამ მწარე დაღი დაასვა პოეტის სულის ვითარებას: სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებულიო, ამბობს იგი „მოგონებაში“. მაინც მეოსანს რწმენა მომავალ ბრწყინვალე ვარსკვლავისადმი არ გაჰქრობია და, მესიანურ მოძღვრების თანხმად, „ნათელი და სიცოცხლე მოკლულს გულს არ შეჰრყევია“.

თუ შევადარებთ ვ. ორბელიანის სიმბოლიურ ქმნილებას „იმედს“ პოლონელთ პოეტის ვორონიჩის ნაწერს, მსგავსება იმდენად თვალსაჩინო იქნება, რომ გვებადება აზრი მივაწეროთ ქართულ ლექსის წარმოშობა უცხოელის გავლენას. მართლაც, ყურადღების ღირსია ის სქემა, გეგმა, რომელიც არის ქართველ და პოლონელ პოეტის დედა ძარღვი. ორივენი ჯერ აღვიწერენ დანგრეულს სამშობლოს, ორთავეს გამოეცხადება იდუმალი მშვენიერი არსება, ერთნაირად აღნიშნავენ ლეთისა და კაცთა შორის ახალ კავშირის დამყარებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება სამშობლოს აღორძინება. ვორონიჩი იკითხება: „ვინაა ისა?“ ამ გვარადვე იწყებს „იმედის“ დაწერი: „ვინა ხარ შენა, მშვენიერო, მოხვედი სითა? ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოფრინდი ცითა?“ ეს ჩვენება „იმედისა“ იგივეა, რაც ილ. კავკავაძის „აჩრდილში“ და მამია გურიელის „პოეტია და ჩვენებაშიაც“ მოგვევლინება. ვ. ორბელიანი შეაქებს ივერიის კას, ბუნებას, ზღვას და ბარს, რუსთაველის ლექსს, მოიხსენებს თამარის და დავითის სულს და შემჯეგ გულდამწვარი აღწერს „ივერიის შავს ბედს“, დაობლებულს, ძველის დიდებით განთქმულს სამშობლოს: „მაგრამ აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა, პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა“... წმინდა საფლავნი ნანგრევთ შორის ხშირია, მოუხსენებელთ უპატრონოდ „ტყენი ჰბურვიან“, ერთი საუნჯე დარჩენია ამ გმირთა აკლდამის“: ივერიას შერჩენია „ჯვარი ვაზისა, რომელიც ხელში ეპყრა წმინდა ასულსა“.



მირიანის დროს აქეთ „მადლი იმ ჯვარის ჩვენს სამშობლურზედ, ჩვენს ერზედ არის“; მოიგონებს იგი „გმირთა-გმირს“ ირაკლის და მამულისათვის თავგანწირულ ბრძოლას, მიუთითებს არაგვის და მტკვრის კიდეებზე, რომელნიც წარსულის უტყუარნი მოწამენი არიან, ჰგმობს კიდეც უფალს, რომ თუ მან ქვეყანას მიანიჭა წესი, საქართველო ასე მწარედ რად დაემხოვო. ბოლოს, ვორონიჩისებურად, ტურფა ასული მიუახლოვდება პოეტს, გაამხნევებს და ეტყვის: „გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათ არ განკერებიან, გწამდეს, — ეს შთენნი დიდებულად კვლავ ალსდგებიან! მართლმადიდებელთა ქეშმარიტი ღმერთი ძლიერი მოგფენსთ თვისს სხივსა, თვის სიუხვეს, და თქვენი ერი, ქრისტეს ჯვარისთვის წმებული, კვლავ გამრავლდება, თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ ალყვავდება; ამიერ თქვენთან დავამყარე წმინდა კავშირი, ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი“.

მესსიანიზმი მკაფიოდ გამოთქმულია მის ლექსებში: „იმედი“, „ჯვარი ვაზისა“ და „ორი შენობა“, წარსული საერთოდ ვ. ორბელიანის განდიდებულ, იდეალურ სურათად აქვს წარმოდგენილი და ამ მხრივ ეკუთვნის ქართველ საუკეთესო პოეტთა დასს, რომელნიც აშშუოს გარდაქმნისა და უკეთეს მომიღლის სურვილით აფერადებდნენ და მხურვალედ აშუქებდნენ ისტორიულს მოგონებას და ნაშთებს. ვ. ორბელიანის სალიტერატურო მოღვაწეობა იწყება 1857 წ., როცა იგი ვა წლისა შეიქმნა. ამ დროს დაუწერია „ბულბული“ („ცისკარი“ 1857 წ. № 1). 1858 წ. დასწერა მიმსვანება ვ. ჰუგოსი, 1859 წ. „იმედის ნაწყვეტი“ და იმით თავდება მის შემოქმედება 1866 წლამდე, როდესაც დაიბეჭდა მისი „ძველი დმანისი“. დანარჩენი ლექსები დასწერა 1879—1890 წლ., როდესაც პოეტმა მოხუცებაში გადასდგა ფეხი და 67—78 წლით დატვირთული იყო. ლექსეში „ბაქარ ქართლელს“ ვ. ორბელიანი გვამცნევს, რომ იგი პოეტი არ არის, რადგან კაცის თვალს ცრემლს ვერ მოჰვერის და ვერც ერს აღძრავს. მართლაც, პირველი ლექსები კერძოდ პოეტის სულის ვითარებას გვიხსიათებს.

შემდეგ, ილიას ნაწერების გავლენით, ვ. ორბელიანის პრეზიდ-
 ანიც სამოქალაქო ხმა გაისმა, პატრიოტულმა გრძნობამ შეიპ-
 ყრო მგოსნის ოცნება, საზოგადო კვნესა-ოხვრის მქადაგებელი
 შეიქმნა. ლექსი „ორი შენობა“ (1881 წ.) უკვე მამულის სიყ-
 ვარულით არის ჩაგონებული და მაჩვენებელია მის რომან-
 ტულ მიმართულებისა. აქ ადარებს ძველს და ახალს ღრმებას,
 ძველს კულტურას და თანამედროვე ცხოვრებას; ერთს შენო-
 ბაში ჰქედავს სიცოცხლეს და მოძრაობას, „მეორე არის ძველთ
 წინაპართ სადგურის შთენი“; პირველი სუსტია, ღონე არა
 აქვს; მეორე სავსეა ღონით. ერთს დაანგრევს სამოცის წლის
 სეტყვა და ქარი, მეორე—შვიდასის წლის მოხუცი სდგას—გმი-
 რად, ქარიშხალისა არ ეშინიან.

„და თუ ოდესმე მის კედელი დაინგრევიან,

შთენი კა მისნი საუკუნოდ მთლად დარჩებიან;

დარჩება მისი საუკუნოდ ქვეყნად ხსენება“

ამ შედარებას ათავებს რწყენის გამოთქმით, რომ „დიდს
 წარსულს მომავალიც დიდი ექნებაო“. თავის პოეტურ აღმა-
 ფრენის ძლიერება და გაღვიძებული პატრიოტული გრძნობა
 ორს თავის საუკეთესო ნაწერში განახორციელა: „იმედი“,
 რომლის შესახებ ზემოდ უკვე მოგახსენეთ, და „ობოლი“,
 შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი. აქ აწერილია დიდის პოე-
 ტის აღზდა ობლობაში, დიადის ბუნების გავლენა მის გენიო-
 სურს ნიჭიე, საფუძვლიანი განათლება „ელლინთა მამულში“, და-
 ბრუნება საქართველოში და თამარ დედოფალთან გამოცხადება.
 მეფე-შვენება ზის ტახტზედ, ფიქრით მოცული, დ ინებებს ინახუ-
 ლოს „ვეფხვის ტყიასნის“ დამწერი. მოპგვარეს ჭაბუკი მშვე-
 ნიერი: თვალებში მას უბრწყინავდა მადლი ციური. „მეფემ-
 შვენებამ“ პკითხა მხოლოდ: „ეს ლექსი გულს ვით ჩაგინერ-
 გდნენ, გულთა დამწველნი ვით აღმოხდნენ, ვით დაიწერენ?—
 დიდო მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა, შენმა ნათელმა,
 მშვენიერმა სახემ შთამბერა. ნათელი მეფე მას უმზერდა ტკბი-

ლის ღიმილით, უთხრა: „ეს ლექსნი შთაბერილი გაქვს შენ ცით მაღლით: იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შეენება, ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ უიდება!“ ვინ იყო იგი და რა იყო იმის სახელი? ის იყო შოთა, დიდი შოთა რუსთაველი!“ ვ. ორბელიანი სდგას რომანტულ და რეალურ პოეზიის შუა. ორც დიდაქტიური მოძლვრება უარჲყო, როგორც მოწმობენ ამას მისი ლექსიგი: „კაცი ის არის“, „გალია“ „ქალი ის არის“. მგოსნის დანიშნულება ვ. ორბელიანმა გამოჰატა ლექსში „პოეტი“. მისი მოვალეობაა დაგვანახოს „დიდებულია ბუნება“, გამოგვიხატოს „ძველ დროთა გმირნი“, შეგვიყვანოს გლეხკაცის სახლშია, გვამხილოს ავი და სიზარმაცე. მოქალაქობრივს მიმართულებას ვ. ორბელიანის ქნარისას აცხოველებენ იგრძევე ლექსნი „გავჩნდით რისთვის“ და „დედოფალი“. ღვთის ქმნილი ქვეყნად იმიტომ არის მოსული, რომ განამტკიცოს ძმობა, ერთობა და სიყვარული, თვით „მშვენიერი არსება“, რომელსაც თვალებში ჩამჩერს ვნებით დაბნედილი ჭაბუკი მეფე, არაფრად მიიჩნევს ტახტზე ჯდომას და თანახმაა გახდეს დედოფალი ერისა, თუ მეფესთან ერთად განაგებს სამეფოს ერიც და ამ ერს დაუთმობს მისსავე შრომას და სიმდიდრეს, ქვრივ-ოხერს შეიწყნარებს, დავრდო მიღს უფსურულიდან აღმოახდენს და კეთილისთვის აღადგენს. ეს კაცთ-მოყვარეობით სავსე პოეტის მისწრაფებანი ჩაენერგა ჩვენს პოეტს სხვათა შორის შილლერისა და ჰიუგოს გავლენით. ზედ მოქმედება იქონია ვ. უუკოვსკიმაც, რომლის ლექსი „თითის ტოლა ბავშვი“ სთარგმნა ქართულად და რომლის წაბაძვით დასწერა „კიდევ შენს წინა“, რომანტულის ელფერით სავსე ლექსი.

ა. ხახანაშვილი.






JOURNAL

၁၂၁

 ლექტრონით განაწილება წყალისა. მოდით ვი-
ბასოთ ახლა ყველასთვის ცნობილ ნივთიერე-
ბის, სახელდობრ წყლის შესახებ. განა საკირ-
ველი არ არის, რომ ეს ანკარა, მჭვირვალე
თხელადი შესდგება ორის გაზისაგან? უკველია
გეხსომებათ, ელექტრონის ბოძი, შემდგარი თით-
ბრისა და თუთიასაგან, რომლებს შეა იდო ძმარ-
ში დასველებული მაუდის ნაკერი? მე, ასე გაკე-
თებული რამდენიმე ბოძი შევართე იმ აზრით, რომ ერთბა-
შად ვისარგებლებ შეერთებულის ძალით. ამ ბატარეის ორივე
მართულის ბოლოს ჩავდებ წყალიან დიდ ბაღიაში. ბაღიაში
წყალი ცოტათი დავამლაშე, რადგანაც ამ გარემოებაში ელექ-
ტრონი უფრო ჩქარა და კარგა გადავა. რამდენსამე წამს
შემდეგ, ორივე მართულის ბოლოებზე ჩნდება გაზის ბუშტები
და ზევით მოდის. ერთის მართულის ბოლოს უფრო მეტი
ბუშტები დაასხდა, მეორისაზე. ორივე ბოლოებზე ამომხტარი





ბუშტები შეიცავს ორ გაზს: უან-
გმბალს და წყალმბალს. რომელ
ბოლოზედაც მეტი ბუშტებია,
იქ წყალმბალი იკრიფება, რო-
მელზედაც ნაკლები—იქ უანგ-
მბალი. შევაგროვოთ თითოეუ-
ლი გაზი ცალკ-ცალკე. ამისათვის
ვიღებ გელ და წვრილ ჭიქებს;

ბულს ჩავთვებ ბადიაში. ბადიაში ჭიქას ვაშორებ თითზე დაკეტებულის
ტროს ბოძის ერთი მართულის
ბოლოს ვდებ შიგა. ესრე მო-
ვექცევი მეორე ჭიქასაც: იმა-
ში მეორე მართულის ბოლოს
ჩავდებ. ახლა ბუშტები ადის
ჭიქის ძირთან, აგდებს იქიდგან
წყალს და იკრიფება ზევით.
უცქირეთ, იმ ჭიქაში, სადაც
გროვდება წყალმბადი, ბუშტები
ორჯელ მეტია, სანამ მეორე
ჭიქაში; მაშასადამე, წყალმბადს ორჯელ მეტს მივიღებთ
ეანგმბადზე. სწორედ რომ ვსთქვა, უანგმბადის ერთ ნაწილზე
მოდის წყალმბადის ორი ნაწილი. უანგმბადი და წყალმბადი
წყლის განაწილებით, მივიღეთ. უფრო ღონიერი ელექტროს
ბატარეია რომ გვერნოდა, რაც ბადიაში წყალია გავანაწილებ-
დით მის შემადგენერალ გაზებად. ეს რომ გვექნა, მივიღებდით,
1,210 ამ ბადის ტოლა წყალმბადს და 520 ბადია უანგმბადს.

წყალმბადი. სანამ მე ვლაპარაკობდი, ჭიქებში გაზები
ბლომად მოგროვებულია. წყალმბადის ჭიქა თითქმის სავსეა.
ამოვიღებ ამ ჭიქას და ღია პირს დაუცობ თითს. მერე გად-

მოვაბრუნებ, ისე რომ პირი ძირს
მოუვა. მიხა, გაპჟარი წუმწუმა. მაგ-
რამ მოიკა, სჯობიან ბნელ ოთახში
წავიდეთ. აი, ახლა მიუახლოვებ ან-
თებულ წუმწუმას ქვეითა პირს და
თითს ვიღებ. ტკაც! გაიღო სუსტი
ტკაცუნი მშვენიერმა, ნაზმა, ცის-

ფერმა ალმა. ეს ალი იმდენად სუსტია, რომ განათებულ
ოთახში ვერც-კი დავინახავდით. წყალმბადი, როგორც ხედავთ,
მნთებარე გაზია. პატარა ჭიქის ბადლად, დიდი ჭურჭელი რომ
გვერნოდა, ნამდვილი აფეთქება მოხდებოდა. საბეღნიეროდ,



ჰაერში წყალმბადი არ არის, თორებ ყოველ წუმწუმის ანტიგენული დროს, ერთი უბედურება დატრიალდებოდა. კარგად დაიხსომეთ, წყალმბადს მხოლოდ მაშინ შეუძლიან იფეთქს, როდესაც ჰაერთან არის შეერთებული. წყალმბადი წმინდათ რომ შევაგროვოთ, უჰაეროთ, და ნელ-ნელა გამოუშვათ კიქიდებან, დავინახავთ ფერმკრთალ, ცისფერ ალს, რომელიც დიდი სიცხოვლეს მოჰქონდება. არავითარი აფეთქება მაშინ არ მოხდება. ქვა-ნახშირის მაღაროებში ხშირად ხდება საშინელი აფეთქება; ეს იმ დროს, როდესაც მაღაროში ბლომად გროვდება ჭაობის გაზი, წყალმბადის ღვიძლი ძმა. ჭაობის გაზი ამოდის ქვანახშირის საწყობებიდან. მაღაროებში დიდი სიფთხილე სჭირს კაცს. წუმწუმის ანთება იკრძალულია, მუშაობის დროს ხმარობენ შესაფერად მოწყობილ სანათს. სანათს ყოველმხრივ ახვევია ბაღის მზგავსი, ხშირად ქსოვილი ქსელი, ისე რომ ალი კარგად ველარ გამოდის. ჭაობის გაზი რთული ნივთიერებაა. მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი არის წყალმბადი. ამას გარდა გაზში იმყოფება კიდევ ნახშირი. როგორც ჰერდავთ, წყალმბადი ნახშირთან შეერთებაშიაც ინარჩუნებს ზოგიერთ თვისებას. მნათობი გაზი, რომელიც ანათებს ქალაქის ქუჩებს, თითქმის იგივეა, რაც ჭაობის გაზი. ამ გაზს იძენენ ქვანახშირისაგან, ხისგან და სხვა მნთებარე ნივთიერებისგან. აიღეთ კვარი და გაახურეთ სანათის ალზე, კვარი ჯერ ბოლვას დაიწყებს, მერე კი უცბად იფეთქებს, მაგრამ თვითონ კვარი კი არ იუეთქავს, იფეთქავს ალი, რომელიც გაჩნდება კვარის ზევით, იფეთქავს ის გაზი, რომელიც სიცხოვლის გავლენით, გამოდის კვარიდგან. აი, ესე იძენენ მნათობ გაზს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თვითონ სანათიც და კვარიც იმყოფება დახურულ ჭურჭლებში. გაზს აგროვებენ წყლის დიდ ვედროებში. რომლებიც წყალზედ არის დამხობილი. ვედროები დგან გაზი მილებით გაჰყავთ ფარნებში. მილის ბოლოში გაკეთებულია პატარა საცობი. როცა ანთების დრო მოვა, ამ საცობს მოუშვებენ და ანთებენ იქიდგან მონადენ გაზის ნაკადს. სუფ-

თა მნათობი გაზი აუფეთქებლივ ანთია, მაგრამ თუ ის კუნ
ჭელში, საღაც მოთავსებულია გაზი, შევიდა ჰაერი, მაშინ დი-
დი უბედურობა დატრიალდება. ალი შევა ვედროში, აანთებს
მთლად გაზს და ამის გამო მოხდება საშინელი აფეთქება, ისე-
თი მძლავრი, რომ მილეწ-მოლეწავს, არა თუ მარტო ვედროს,
არამედ იმ შენობასაც კი, რომელშიაც აუზი იმყოფება.
წყალმბადს კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება აქვს: გასაკ-
ვირვლად სუმბუქია. 14-ჯერ სუმბუქია ჰაერზე. ე. ი. იმის
სისქე 14-ჯერ ნაკლებია ჰაერის სისქეზე. ამიტომაც წყალმბა-
დით ჰაერავენ ჰაერის ბურთებს, მაგრამ რადგანაც ამ გაზის
შეძენა ძვირად ჯდება, ხშირად ჰაერის ბურთს ავსებენ მნათობ
გაზით. მართალია, ეს გაზი წყალმბადზე სქელია, მაგრამ მაინც
ჰაერზე სამჯერ სუმბუქია. რასაკვირველია, ერთი წონა სიმძი-
მის ასაწევად ჰაერის ბურთი, გაბერილი მნათობ გაზით, უნდა
გაცილებით დიდი იყვეს, წყალმბადით სავსე ბურთზე.

უანგმბადი. კმარა ჯერ-ჯერობით, რაც წყალმბადზე ვიბა-
სეთ. ავილოთ უანგმბადიანი ჸიქა. უანგმბადი ჰაერივით და
წყალმბადივით უფერო გაზია. ამ გაზს არავითარი სუნი არა
აქვს. ბლომად რომ მქონდეს, მოგცემდით სასუნებლად და
დარწმუნდებოდით, რომ მართალს ვამბობ, მაგრამ ახლა ცო-
ტა მაქვს გაზი და ამიტომ უნდა გაუფთხილდეთ. ამ საათში
მოვაწყობ ცდას, რომელიც დაგვანახვებს უანგბადის უმთავრეს
თვისებას.

— სიკო, გაპარი წუმწუმა. კარგი, ახლა გააქრე და
მომეცი, ჩქარა, სანამ თავი კიდევ ბეუტავს. თითქმის ჩამქრალ
წუმწუმას ვდებ უანგბადიან ჸიქაში. შეხედეთ, წუმწუმა ხელახ-
ლავ აინთო. აი, რის მომქმედია უანგბადი. გააძლიერა, გაა-
ცოცხლა მიმქრალი ალი. უანგმბადი, როგორც ქიმიკოსები
ამბობენ, ნთებას მხარს უჭერს, შველის. უანგმბადი ჰაერშიაც
არის. მის წყალობით ანთია სანათი, ბუხარი, ღუმელი, უამ-
გაზოთ არც ცეცხლი, არც სინათლე არ გვექნებოდა და, რაც
ყველაზე უმთავრესია, უუანგმბადით არ შეიძლებოდა სიცოცხლე,
რადგანაც ჩვენ და ყველა ცოცხალი არსება განუწყვეტლივ

గొస్తున్తక్కావట శాంగమ్బాడస. మాగ్రామ అమాంచే శేమల్యేగ గయెంపింట. శేషమ్మామాయించా
రా లింగి గాన్సెచ్చావ్యాండా వ్యాంలమ్బాడసా లా శాంగ-
మ్బాడస శ్యాః వ్యాంలమ్బాడి త్వాం నెంత్యోదా, మాగ్-
రామ నెంత్యోదాస, వ్యాస అం శ్వేణిస. మ్బ్యుట్రావ
మ్బ్యుట్రావిస్థాన్ త్వాంతాం అనెంత్యోదా, మాగ్రామ
మ్బ్యుట్రావస వ్యేలాం అనెంత్యోదా. శాంగమ్బాడి,
శింకోంత,— అనెంత్యోదస బ్యుట్రావ మ్బ్యుట్రావస,
త్వాంతాం క్రి అం అనెంత్యోదా. వ్యాంలమ్బాడి
మెంత్యోదార్జే నొవ్తింగ్రేందా, శాంగమ్బాడి క్రి
డామ్భ్వేలి అన్న అసానెంత్యోది. డ్యుర్రి మెంత్యోదార్జే నొవ్తింగ్రేందా ఒపింట:
శ్యే, నాశింహి, శ్యేతి, సింహి, నావతి. ప్యేల్లా ఇస అంతొ ఇమ
గార్మెంటిస వ్యాంలమ్బాడి, రంధ త్యాగ్రమి అంసి శాంగమ్బాడి. రంధ్రే
శాండ్రు నొవ్తింగ్రేందాన్ అంతొ, ఇష్విస, శ్యేర్లి అంతమ్మేం శాంగమ్బాడస లా
శ్యేర్లింగ్రేందిం అమ గాళిస. మెంత్యోదార్జే నొవ్తింగ్రేందా తావ్యిసింతావాడ అం
అనెంత్యోదా. శ్యుట్టుండ శ్యుండా అవానెంత్యోది, ఎ. ఎ. మిసి త్యేమ్బ్రేరాట్యుర్రా
శ్యుమాల్లైస వ్యేర్లింలామ్లైస శ్యుండా అవిప్యుండాన్, మెంలమ్ముండ మాశిన
శాంగమ్బాడి అనెంత్యోదస మెంత్యోదార్జే నొవ్తింగ్రేందాస; త్వా రంధ క్వార్లిస
శ్యేర్లిం బ్యుంం ఇష్యుం వ్యాస, ప్యేప్చుంసి సింతాం గాండావా మాశిలమ్మైల
వ్యేర్లింలింశ్యే లా ఇమ్మున్ండ గాంబ్యుంగ్రేందస, రంధ శాంగమ్బాడి అనెంత్యోదస.


మ్యుంస శ్యేడ్గెనా.

— గాంగ్యేత? శింహ? మాశ, క్వార్గి. అం, క్రాంతీస లింగి శానొ
తింతి అప్పుంగ్రేందా. రా గిన్డా మ్యుంతాం?

— త్వేంద్రు సింజ్విం, రంధ వ్యాంలమ్బాడి త్వాం నెంత్యోదాం, మెర్రే
శాంగమ్బాట్యేత, శాంగమ్బాడి క్రి అనెంత్యోదాం. మాశిసాండామ్యే, శాంగమ్బాడి అ-
ంత్యోదస వ్యాంలమ్బాడిస?

— ల్యొంగ్రేడ శ్యుంగ్రే అంసి. త్యాగ్రమి రంధ శాంగమ్బాడి అం
ష్యుంస, క్వెబ్ వ్యాంలమ్బాడిస అనెంత్యోదస వ్యేర్లిస గంతి వ్యేర్ మొవాబ్యే-
శ్యేదింత. గిన్డాండ్రు రంధ అనెంత్యోది క్వార్లి సిం శ్యేవ్రుం వ్యాంల-
మ్బాడిం క్వింజిం, రంధ గాళి అం అనెంతొస, శానొ క్వార్లి శ్యేవ్రుం ది-
ప్పింజిం, క్విండ్రుం గాంజ్యేందా, రాండ్రుం శాంగమ్బాడి లాంక్లుంగ్రేందా.

— మె మాగస అం గ్యేకొంతాందిత. రా మింగిల్యేత వ్యాంలమ్బాడిస్థాన్,
శంధ సింహుంలిం అం లాంక్లుం క్వార్గా? — మాంతాం శ్యే కింత్వో సాఫ్యుంఘుంలిం



და ბრძნული ამოცანაა. ვეცადოთ და ავხსნათ. როგორ შეალმაღი იწვის, უერთდება უანგმბადს, სწორედ ისე, როგორც გოგირდი შეუერთდა რკინას. ჩვენს ცდაში, შეერთების შემდეგ აღარც რკინა და აღარც გოგირდი არ დაგვრჩა; მათ მაგიერ მივიღეთ გოგირდის რკინა; სწორედ ესე, უანგმბადის და წყალმბადის შეერთების შემდეგ, აღარც ერთი და აღარც მეორე აღარ იქნება. რას მივიღებთ მათ ბადლად? აბა, ვინ იცის? ეტყობა, — არავინ. ჩვენ ხომ წყალი გავანაწილეთ უანგმბადსა და წყალმბადზე. ახლა რომ ეს ორი ნაწილი ისევ შევაერთოთ, მივიღებთ... პოო, მიხვდით განა, რომ ყვირით „წყალს“. რასაკვირველია, წყალს. უნდა მიაჩვიოთ გონება მსჯელობას. წყლის მისაღებად უნდა უთუოდ ავანთოთ, დავწვათ წყალმბადი, და რადგანაც ყველა ის ნივთიერებანი, რომლებსაც ჩვენ ვანთებთ, შეიცავენ წყალმბადს, ამიტომაც იმათის დაწვით უსათუოდ მივიღებთ წყალს. აი, ვანთებ სანათში მდგარ სპირტს და სანათის ზემოდ დავიჭრ ცივ მათლაფას. მათლაფას დაასხდნენ წვეთები. ეს წვეთები გამოხდილ სპირტს კი არ შეიცავს: მათში სდგას უბრალო წყალი, რომელიც მივიღეთ სპირტში მყოფ წყალმბადის დაწვით. სპირტი რთული ნივთიერებაა. ახლა ხომ გესმით, რათ დაარქვეს წყლის ერთ შემაღენელ გაზს წყალმბადი? დაწვის დროს ის აჩნის ანუ ჰებადავს წყალს. მაშ, ესე. ვიპოვეთ წყლის შენადგენი ორის საშუალებით. პირველი: წყალი, ელექტროს საშუალებით, გავანაწილეთ ორ გაზად, მივიღეთ უანგმბადი და წყალმბადი; ამასთან წყალმბადი ორჯელ მეტი აღმოჩნდა უანგმბადზე. მეორე: ხელიახლავ შევადგინეთ წყალი ისეთის ნივთიერების დაწვით, რომელიც შეიცავს წყალმბადს. ცდაში სპირტი დაწვით. პირველ საშუალებას, განაწილებას, ქიმიაში ანალიზს უწოდებენ. მეორე საშუალებას, შედგენას, უწოდებენ სინტეზს. ეს სიტყვები ბერძნულ ენიდგან არის აღებული. ქართულადაც მათი მნიშვნელობა შემდეგია: „ანალიზი“ — განაწილება; სინტეზი — შედგენა. ეს სიტყვები წიგნშიაც შეგხვდებათ.

డాఉబర్జున్‌డ్రైట లీప్ వ్హియాల్స్. త్వరిత రోట్ బొటల్లిస్ ను కొని వ్హియాల్స్ మేడల్ గావాగ్వెబ్బత వ్హియాల్మబ్బాడించి, డాబొర్జీబ్ జ్రాట మేసామేడల్—జ్ఞాన్-గ్భంగిత, అంగ్రేజ్ డా ఎన్‌అంగ్రేజ్ మియాఖెల్లంవ్యేబ్బత అంతేభ్యుల్ సాం-ట్యెల్స్, బొటల్లిశి అఫ్యెట్క్యేబ్బ మంచెద్రైబ్బ. ఏప్రి జ్రాటి గాళి అందాన డాబొర్జీబ్బ; మాత మాగియేర్ బొటల్లిశి గాబ్బిద్రైబ్బ వ్హియాల్స్. అబ్లా, రూ ఐంగ్బ్బా, రోట్ వ్హియాల్మబ్బాడించి న్యూజ్యెల్ మేత్రి కి ఏంసా, సామ్మాన్ మేత్రి అంగ్రేల్ అంగ్రేబ్బాంథ్యే? జ. ఓ. బొటల్లిస్ సామి మేంతింబ్బెద్రైబ్బ డావింగ్ వ్హియాల్మబ్బాడించి, జ్రాట మేంతింబ్బెద్రైబ్బ కి—జ్ఞాన్‌గ్భంగిత. రూగురూ త్వి-జ్యోతించి, అన్దరూ?

— వ్హియాల్మబ్బాడి మేత్రి మంచా డా అమిట్‌మి ఏ మేత్రి నాశిల్పి శుప్పుల్చెల్లాడ డాబొర్జీబ్బ.


— రూమిట్‌నొ డాబొర్జీబ్బ శుప్పుల్చెల్లాడ?

— బొటల్లిస్ మేంతింబ్బెద్రైబ్బ. రూధగానొప్ర జ్ఞాన్‌గ్భంగిత డాబొర్జీబ్బ నాశిల్పించ్చే జ్యున్‌డా వ్హియాల్మబ్బాడిస్ ను మేంతింబ్బెద్రైబ్బ అంగ్రేల్, క్రీచ్ కి సామి మేంతింబ్బెద్రైబ్బ అంగ్రేజ్, సెంట్రిక్ ఏ మేసామ్జె మేంతింబ్బెద్రైబ్బ నాశిల్పి వ్హియాల్మబ్బాడిస్ డాబొర్జీబ్బ శుప్పుల్చెల్లాడ.

— డాల్మిం జార్గో. అగ్రేడ్‌వ్యె, త్వరిత జ్ఞాన్‌గ్భంగిత మేత్రి అంగ్రేబ్బత, రూమిట్‌నొ సామ్పింగొ, భేదమేత్రి నాశిల్పి శుప్పుల్చెల్లాడ డాబొర్జీబ్బ. జ్రాటిస్ సిట్‌ప్యుగిత, వ్హియాల్స్ ఏరొస్ జ్ఞాన్‌గ్భంగిత డా వ్హియాల్మబ్బాడిస్ జ్యెన్‌ఎర్టి, మెంటల్‌మి ఏ ను గాళి గాబ్బిసాంగ్లంవ్రుజుల్ రూపించ్చే అంగ్రేబ్బాడించి జ్యున్‌డా అంగ్రేల్.

6. లోపించుటానికి.

(శ్యేషెగొ అంబ్బెబ్బ)



၁၀၆၂

(ମୁକ୍ତିମନ୍ଦିରଙ୍କୁଳି ଏ. ପାଇଦେଖାଶ୍ଵିଲୀର ମହିନା).

(კითხვა)



00


მტრედის ბართულ
რა ჰქვიან?

(గతిశ్లో కోకొ)


ବ୍ୟାକିଲାଙ୍ଗନରେ ପାଇଁ

m

ଗୁରୁଦ୍ଵାରା ପିଲାଣ
ଆଖ-ଶ୍ରୀ ପଦମାତ୍ରା
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ଗୁରୁଗ୍ରହ




ၬ၀



٦

ପଦାଳୁଙ୍କ ପଦିରାଜିଣ
ପଦାଳୁଙ୍କ ପଦିରାଜିଣ



ეგ-3 №-ში მოთავსებულ რეჩუსის აღნენ:

აზნაურობა მიყვარდა, თოხი გამოვკარ ახოსა, აქეთ-იქით
ვიყურები, არავინ დამინახოსა.

କ୍ଷେତ୍ରାବ୍ଦୀରେ ନିର୍ମଳ ନାୟକଙ୍କ ପାତ୍ରମାତ୍ରା ହେଲାମୁଣ୍ଡିଗୁ. ଗୁମ୍ଭତାଳାରେ ଏହାର ପାତ୍ରମାତ୍ରା ହେଲାମୁଣ୍ଡିଗୁ.